ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თაობაზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., ამყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 6—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ს. ს. ს. რ. ხახ. კომისარიატის [illegible]

დღი[illegible]

— [illegible]

— დაიხურა ინგლისის კომპარტიის ყრილობა.

— ესპანეთი ჯარის ახალ ნაწილებს გზავნის მაროკოში.

— საბერძნეთ-სამხრეთ-სლავიის [illegible] შეწყდა.

— ვენაში ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის შეტაკება მოხდა.

— პარიზში გაიმართა საბჭოთა სტუდენტების კონფერენცია.

ხუთშაბათი, 4 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 126 (1281)

ჩვენი ამოცანები და იუსტიციის ორგანოების მუშაობა სოფლად

პარტიის და ხელისუფლების ძირითადი ყურადღება ამ ჟამათ მიპყრობილია სოფლათ მუშაობისაკენ. ამას წინათ დამთავრებულმა პარტიულმა კონფერენციამ და რ. კ. პ. ცეკას პლენუმმა ერთხელ კიდევ მე-13 ყრილობის შემდეგ გამოიტანეს კონკრეტიული გადაწყვეტილებები, რომლებიც საბჭოთა პარტიული ორგანოების წინაშე პირველხარისხოვანი ამოცანების სახით აყენებენ გლეხთა თვითმოქმედების და აქტივობის გაძლიერებას საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, სოფლის კულტურული დონის ამაღლებას და გლეხობის და პროლეტარიატის კავშირის განმტკიცებას.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სოფლათ მუშაობის სფეროში ჩვენს წინაშე დასმულ პრობლემების სწორ და გონიერ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერის განმტკიცება. ეს ამოცანა პარტიის თითეული წევრის და საბჭოთა მუშაკის წინაშე, რომელ დარგშიაც არ უნდა მუშაობდეს ის, აყენებს მნიშვნელოვან საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიიღოს მან მონაწილეობა ამ ძირითადი პრობლემების გადაწყვეტაში ისე, რომ გაუადვილოს პარტიას და ხელისუფლებას მათი დაძლევა.

იუსტიციის მუშაკები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ადგილებზე—მაზრებში და თემებში—მუშაობენ, ვალდებული არიან ამ მიმართულებით გამოიჩინონ ცოდნის და ინიციატივის მაქსიმუმი.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებ შორის, რომელთაც ახლო კავშირი აქვთ გლეხობის ცხოვრებასთან, ყოფა-ცხოვრებასთან და მისწრაფებებთან, ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს სახალხო სასამართლოს და წითელ პროკურატურას. საკმარისია აღინიშნოს, რომ ყოველ დღე სახალხო სასამართლოებში განსახილველათ შეაქვთ არა ერთი ასეული საქმე, რომელთა 95 პროც. უშუალოთ დაკავშირებულია გლეხობის სხვადასხვაგვარ ინტერესებთან.

ჩვენ არ შევჩერდებით სოფლათ მუშაობის ცალკე სახეებზე, ჩვენ გვინდა მხოლოდ განსაკუთრებით ხაზი გაუსვათ სოფლათ იუსტიციის ორგანოების მუშაობის მნიშვნელობას. ცნობილია, სოფელი უზრუნველყოფილია მუშურ-გლეხური მოსამართლეების კადრით; ეს მოსამართლეები თავის შემადგენლობის მხრივ საკმაოთ აკმაყოფილებენ მშრომელი მასების ინტერესებს. ჩვენ სოფლათ მოვაწყვეთ საპროკურორო ზედამხედველობაც. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ორი ორგანო ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოთ განმტკიცებული და ისინი ჯერჯერობით სრულათ ვერ აკმაყოფილებენ გლეხობას, ამიტომ საჭიროა მათი კიდევ უფრო დაახლოვება სოფელთან.

ამას გარდა ჩვენ გვაქვს კანონმდებლობა, რომელიც მთლიანათ მიმართულია მუშების და მშრომელი მასების დაცვისაკენ. ჩვენი მუშაობის ერთერთ მნიშვნელოვან ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი კანონმდებლობის პოპულიარიზაციის საქმის სუსტათ დაყენება გლეხთა მასებს შორის. გლეხობა არ იცნობს ჩვენს კანონებს, ისინი ვერ აღწევენ გლეხებამდი. გლეხობა ხშირათ არ იცნობს იმ შეღავათებს და ნორმებს, რომლებიც დაწესებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათი სოციალ-ეკონომიური ინტერესების დასაცავათ.

ამ მხრივ ჩვენ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის, რადგან ბრძოლა უფლებრივ უვიცობასთან ერთერთი საუკეთესო საშუალებაა რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებისთვის. ეს მძიმე ამოცანა, რასაკვირველია, გადაწყვეტილი ვერ იქნება მარტო იუსტიციის ორგანოების ძალებით. ეს—პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრივობის საქმეა, იუსტიციის მუშაკები კი მეტათ სერიოზულათ უნდა მოეკიდონ ამ საქმეს. ისინი არ უნდა დაკმაყოფილდენ ვიწრო სამოსამართლო მოღვაწეობით, მათ უნდა ისარგებლონ თვითეული მოხერხებულ შემთხვევით, რომ გაავრცელონ ხალხში საბჭოთა უფლება. სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულთა გადარჩევა სათემო და სამაზრო საბჭოების ყრილობებზე, გლეხკომთა, კოოპერატივთა ყრილობები და გლეხობის საზოგადოებრივობის სხვა სახეები გამოყენებული უნდა იქნეს იუსტიციის მუშაკების მიერ ადგილებზე იმ მიზნით, რომ გააცნონ გლეხებს ჩვენი კანონები. ეჭვს გარეშეა, რომ მოსამართლეც, პროკურორიც და გამომძიებელიც კი, რომლებიც სოფლათ მუშაობენ, თუ მოინდომებენ, არა ერთ ხელსაყრელ შემთხვევას გამოძებნიან იმისათვის, რომ დახმარება გაუწიონ გლეხებს და გააცნონ მათ თავისი უფლებები. ლექციები უფლების საკითხების შესახებ. მოხსენებები ქოხ-სამკითხველოებში მუშაობა იურიდიულ კონსულტაციებში—უნდა გახდეს იუსტიციის ორგანოების მიერ სოფლათ წარმოებულ მუშაობის აუცილებელ ელემენტათ.

იუსტიციის მუშაკები, რომლებიც დაკავშირებული არიან სოფელთან, მოწოდებული არიან იმისათვის, რომ ბრძოლა აწარმოონ უფლებრივი უვიცობის წინააღმდეგ. საჭიროა ენერგიული და დაჟინებითი ბრძოლის წარმოება ამ უვიცობის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად იუსტიციის ორგანოებმა ცენტრალური პარტიული ორგანოების დირექტივებთან შეფარდებით გადამწყვეტი გზით უნდა აიღონ შემდეგ ღონისძიებების გასატარებლათ:

1) სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების რაც შეიძლება უკეთესათ დაახლოვება გლეხთა ფართო მასებთან; ამის განხორციელება კი შეიძლება სოფლებში და ოლქებში სასამართლოს დაწესებულებების ქსელის გაფართოვებით და საპროკურორო მეთვალყურეობის აპარატის გაძლიერებით, საოლქო და სახალხო სასამართლოების მიმსვლელი სესიების პრაქტიკის ფართოთ განვითარებით და აგრეთვე საჩვენებელი პროცესების მოწყობით. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერენ ჩვენი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, რამდენათაც მათი განხორციელება დაკავშირებულია მატერიალური საშუალებების დახარჯვასთან.

2) სასამართლოების და პროკურატურის მუშაკების შემადგენლობის გაუმჯობესება იმ მხრივ, რომ ამ ორგანოებში შედიოდენ ყველაზე უფრო აქტიური და საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი უპარტიოები, რომელთაც ახლო კავშირი უნდა ჰქონდეთ გლეხთა მასასთან.

3) უპარტიო გლეხების და გლეხქალების ფართოთ ჩაბმა მართლმსაჯულების საქმეში სახალხო მსაჯულთა სახით.

4) სასამართლოების მუშაკების შემადგენლობის გადახალისება იმ მხრივ, რომ მასში გაძლიერებული იქნეს კადრი პატიოსან, ერთგულ და მუშების და გლეხების ნდობით აღჭურვილ მუშაკებისა, რომელთაც არ ახასიათებთ ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული მიდგომა მშრომელ მასებისადმი.

5) გადამწყვეტი და სისტემატიური ბრძოლა რევოლიუციონური კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ და ყოველმხრივ დაცვა იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც ახორციელებს საბჭოთა ხელისუფლება სოფლად მიწათმოქმედების, კოოპერაციის, კრედიტის და სხვა სფეროებში.

უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლიუციონური კანონიერების დამრღვევნი საბჭოთა სახელმწიფოებრივობის განვითარების ეხლანდელ პირობებში არ შეიძლება შეფასებული იქნეს სხვანაირათ, თუ არა როგორც ძირის გამომთხრელნი იმ ბჯენებისა, რომლებზედაც შეუძლია და სურს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას სოფლის მშრომელი ძალების მძლავრი განვითარების ნიადაგზე, კიდევ უფრო განამტკიცოს მუშის და გლეხის ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი, როგორც საწინდარი ძლევამოსილი მსვლელობისა სოციალიზმისაკენ.

რევოლიუციონური კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ ჩვენ ენერგიული და სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

6) გაღრმავებული უნდა იქნეს კლასიური მიდგომა სასამართლოში გასარჩევ საქმეებისადმი და საქმით უნდა დაუმტკიცოთ მოსახლეობას, რომ საბჭოთა სასამართლო არის მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სასამართლო, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მშრომელთა უფლებები და ინტერესები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხ ქალს, რომელიც ფორმალურათ თუმცა გათანასწორებულია მამაკაცთან, მაგრამ ფაქტიურათ ჯერ კიდევ არ სარგებლობს მისთვის მინიჭებული უფლებებით სოფლათ ახალი ცხოვრების აღმშენებლობის საქმეში.

არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ფიქრით იმაზე, რომ ჩვენ იუსტიციის ორგანოებში ბევრი გვყავს კომუნისტი-მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები და ამიტომ ჩვენში ყველაფერი რიგზე იქნება. თუ ახლო გავეცნობით ჩვენს მუშაობას, დავინახავთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. იუსტიციის ორგანოების პოლიტიკური გავლენა სოფლათ ჯერ კიდევ არ არის საკმაოთ დიდი; გლეხმა ზოგიერთ ადგილებში ჯერ კიდევ ვერ შეიგნო საბჭოთა სასამართლოს მნიშვნელობა, რასაც ხელს უწყობს ჩვენი სასამართლოს აპარატების მთელი რიგი ნაკლულევანებანი (მოსახლეობისაგან დაშორება, საქმეების გაჭიანურება, პროცესების სირთულე, არასაკმაო უნარი იმისა, რომ გაერკვიონ სოფლის ცვალებად სოციალურ-ეკონ. მოვლენებში და სხვა).

ყველაფერი ეს მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში, საჭირო არ არის ამ დეფექტების დაფარვა, ისინი უნდა ვაღიაროთ და გამოვასწოროთ. სასამართლოს თვითეულ მუშაკს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ეს დეფექტები და მან ამ დეფექტების აღმოფხვრა უნდა მიიჩნიოს თავის პოლიტიკურ ამოცანათ.

სახალხო მოსამართლე, სახალხო გამომძიებელი და პროკურორის სამაზრო თანაშემწე მუშაობენ ხალხის შუა გულში და ამიტომ მათი თვითეული ნაბიჯი მოფიქრებით და ფრთხილათ უნდა იქნეს გადადგმული.

სასამართლოს მუშაკები დიდ კულტურულ როლს თამაშობენ სოფლათ. სახალხო მასწავლებელი, აგრონომი და სახალხო მოსამართლე — ასეთია პროლეტარულ გლეხური ინტელიგენციის ის სამეული, რომელსაც აქვს დაკისრებული სოფლათ საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად მუშაობა გლეხობის უშუალო კულტურულ-უფლებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ.

კლასიური ინსტინქტი, გარემოების ფხიზლათ გათვალისწინება, სწავლის და მუშაობის სურვილი და, რაც მთავარია, ამ მხრით მიმართული ნებისყოფა—აი ძირითადი თვისებები, რომელთა დახმარებითაც ჩვენ ვიმარჯვებდით და გავიმარჯვებთ უეჭველათ.

ი. ვარძიელი.

საბჭოთა სინამდვილე და ნოე ჟორდანიას ოცნება

(მისი ბროშიურის გამო: „რა მოხდა")

I

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. ის დასაწყისი შეიქნა საუკუნოებით განმტკიცებული ურთიერთობათა დასასრულის, იმ ურთიერთობათა, რომელთა დახავსებულ ფორმებზე პირველი იერიშები მიიტანა 1905 და 1917 (თებერვალი) წლებმა. ქართულმა „ოქტომბერმა" სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მათ და მათთან ერთად იმ ძალებს, რომლებსაც მოქმედების სარბიელი შეუქმნა თებერვლის რევოლიუციამ: ქართველ ბურჟუაზიას და მის პარტიებს. უკანასკნელთა შორის უმთავრესი იყო უძლიერესი მიმდინარეობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში, მენშევიზმი. მენშევიკური პარტია გადაიქცა თავისი განვითარების პროცესში მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიათ, რომლის დროშის ქვეშ ხდებოდა ბურჟუაზიულ „ღირებულებათა" „დაგროვება", ქართული ბურჟუაზიის კონსოლიდაცია. და ეს მუშაობა ახალგაზრდა ბურჟუაზიის სასარგებლოთ და მისი პოზიციების გასამაგრებლათ მით უფრო ძლიერი იყო, ყოველ შემთხვევაში ასეთად ეჩვენებოდა ის მეთვალყურეს, რომ მენშევიკური სოციალ-დემოკრატია მას ძალიან მოხერხებულათ ახვევდა ერის, მთელი მშრომელი ხალხის ინტერესების სამოსელში, დემოკრატიისა და თვით მუშური დემოკრატიის სამოსელში. ამაში მას ხელს უწყობდა წმინდა ოფიციალური, როგორც თანდათან ზევრისთვის გამოირკვა, მხოლოთ ფორმალური, სიტყვიერი მიღება პროლეტარული, მარქსისტული იდეოლოგიისა. ამ იდეოლოგიის დროშის ქვეშ აწარმოებდა ის ხანგრძლივ მუშაობას საქართველოში, ამ დროშის ქვეშ შემოკრიბა მან მნიშვნელოვანი ძალები მუშების, რომლებიც ჩააყენა ამ პარტიამ ბოლოს და ბოლოს **ქართული ბურჟუაზიის სამსახურში.** საუკეთესო გარეგნული დასკვნა ჰპოვა ამ „მიღწევებმა" იმ ემბლემაში, რომელიც სამფეროვანი დროშის გამოხატულებით აფრიალდა სასახლეზე. წითელი დროშიდან სამფეროვანისკენ—ასეთი გზა განვლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე მენშევიკურმა სოციალ-დემოკრატიამ საქართველოში.

ამგვარი ჩვენი შეხედულება მენშევიზმზე ბოლშევიკების პარტიული ჟინიანობის დამაკმაყოფილებელ დემაგოგიათ გამოაცხადა ერთ დროს ქართულმა საზოგადოებრივობამ და, რაც უმთავრესია, საქართველოს მშრომელთა იმ დიდმა ნაწილმა, რომელიც მისდევდა მენშევიზმს. ნებას მივსცემთ თავს აქ, სიამაყით აღვნიშნოთ, რომ არსებითად ამავე თვალსაზრისს იზიარებს დღეს საქართველოს ყოფილი მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის აქტივი, თვით ამ პარტიის ყოფილ მიმდევართა რამოდენიმე ათასიანი მასა და ეს გარემოება მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ დასკვნამდე მივიდა ის **ხანგრძლივი საკუთარი გამოცდილებით** და მტკიცე ადგილი მიუჩინა მას თავის შეგნებაში. მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია—ასეთი იყო პრაქტიკული შედეგი ამ დასკვნისა. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენ საგანს.

ამნაირად 1921 წელს საქართველოს მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან ერთად დამარცხდენ მატარებლები მათი ინტერესების, პოლიტიკური პარტიები და მათ შორის უმთავრესად სოციალ-დემოკრატია. და როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყოფილი იმპერიის სხვა ნაწილებშიც, ეს პარტიები დაადგენ ძველი რეჟიმის აღდგენის, რესტავრაციის გზას. საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების მიზანზე შეთანხმდენ ყველა ისინი და შეიარაღებული აჯანყება დაისახეს საშუალებათ. ამ პარტიათა პარიტეტული კომიტეტი და მისი სამხედრო ცენტრი ამუშავდენ ამ მიზნით. მორალური, მატერიალური, ტექნიკური დახმარება, ინსტრუქციები და სხვა მოდიოდათ მათ ჟორდანიასაგან, მოდიოდათ იმედი „ევროპის" დახმარების. სამი წლის მზადების შემდეგ აგვისტოში კიდევაც „დაჰკრეს"—როგორც ამბობს ჟორდანია—და მიიღეს... სრული განადგურება.

„რა მოხდა?"—კითხულობს ახლა ჟორდანია.

„მოხდა საქართველოს აჯანყება მოხდა საქართველოს დამარცხება"-ო—უპასუხებს ავტორი და სჩადის დიდ ისტორიულ სიყალბეს.

მოხდა პარიტეტჩიკების აჯანყება სხვა და სხვა საზოგადოებრივ წრეების უკმაყოფილო ელემენტების (რომლებიც ყოველთვის იყვნენ და ჯერ კიდევ იქნებიან) დახმარებით და მოხდა მათი დამარცხება—ვუპასუხებთ ჩვენ.

და აი ამ ყალბი დებულებიდან (საქართველოს, ქართველი ერის აჯანყება) გამოსული აფასებს ჟორდანია საქართველოს ამბებს და გამოსთქვამს გზადაგზა ისეთ აზრებს, რომლებიც შეიძლება უღიტინებენ პარიტეტჩიკების, „პურისტების" სულისჩამდგმელთა თავმოყვარეობას უცხოეთში, მაგრამ რომლებსაც არავითარი კავშირი ჩვენ საბჭოთა სინამდვილესთან არც ჰქონიათ და არც აქვთ.

„ქართველი ერი მისდევს მხოლოთ დევნილ პარტიებს. რატომ? ცხადია რატომ—სწერს ნ. ჟორდანია. მარტო ეს პარტიები იბრძვიან ერის იდეალებისათვის, მისი სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის"-ო.

ბ-ნი ჟორდანია ყოფილი მარქსისტია. პატივცემული ყარიბი მას დღესაც ასეთად ასაღებს. ამიტომ მას უნდა ახსოვდეს ერის შემადგენელ ეკონომიური კატეგორიების სხვადასხვაობა. მისი დიდი უმრავლესობა მშრომელებისაგან შესდგება. აი ამ მშრომელების „იდეალებისათვის", ე. ი. მათი საბოლოო გამარჯვებისათვის იბრძვიან თურმე ვინ? ნაციონალ-დემოკრატები, ქართველი შავრაზმელები, ფედერალისტები, სამფეროვანი დროშის მენშევიკები, იბრძვიან კედიები, ფირცხალავები, რამიშვილები, იბრძვიან ისინი, რომლებსაც აჯანყებებს უმართავდა ჩვენი ხალხი მათი ბატონობის დროს საქართველოში; იბრძვიან ამ მშრომელების „სიცოცხლისათვის" ის პარტიები („მარტო ეს პარტიები"—ამბობს ჟორდანია), რომლებმაც საშინელი ავანტიურით **გასწირეს მთელი ხალხი და უბედურება დაატეხეს თავზე.** ქართველი მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძვიან დაბოლოს თურმე ისინი, ვინც მართლა ამ ხალხის კეთილდღეობას ანაცვალებენ თავიანთ პორტფელებს, რომლების განაწილებით და გადანაწილებით (передел) თავს იქცევენ მდინარე სენის ნაპირებზე (როგორც ამბობენ, სპირიდონ კედია შეუყვანიათ „სამინისტროში"). ეს გაუბედურებული ავანტიურისტები იბრძვიან ქართველი მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, იმ ხალხის, რომლის ჭეშმარიტი კეთილდღეობა მოითხოვს არა სისხლისმღვრელ აჯანყებებს ქართველი და უცხოელი ბურჟუაზიისათვის, არამედ ყველა ძალებით მისთვის დახმარებას მშვიდობიან მუშაობაში, მისი ეკონომიური და კულტურული განვითარებით მისი კეთილდღეობისა და ბედნიერების შექმნას.

ვინ დაიჯერებს დღეს ჩვენში გარდა უიმედოთ დაკარგულებისა, რომ საქართველოს მშრომელთა „იდეალებისა, სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის" იბრძვიან ამ იდეალების გამრყვნელები, აჯანყების, სიკვდილისა და უბედურების მოციქულები.

არ არის დასაგმობი აგვისტოს აჯანყებაო, ამბობს ჟორდანია, ის კაცი, რომელმაც ერთ დროს ხელი დაიბანა ამ საქმეში და თვალთმაქცურად გამოაცხადა: ჩვენ არავითარი წილი ამ აჯანყებაში არ გვიდევსო. ნუ გიკვირთ, ეუბნება ის თავისიანებს, თუ ბოლშევიკები გმობენ მას. სხვადასხვა აჯანყებას სხვადასხვანაირათ უყურებენო. „პარიზის (1871) აჯანყებას გმობენ ბურჟუები, აქებენ სოციალისტები, ოქტომბრის აჯანყებას აქებენ ბოლშევიკები გმობენ სოციალისტები"-ო. ასე ამბობს ჟორდანია, მაგრამ ის არ ამბობს ყოველივე იმას, რაც იცის. არ ამბობს, რომ ოქტომბრის რევოლიუციას სოციალისტებთან ერთად გმობენ (და ებრძვიან) ყველა ქვეყნის (და საქართველოსიც) **ბურჟუები,** რომ მეორე მხრით სწორეთ ოქტომბრის რევოლიუციის ეს მოძულე და მტერი—მსოფლიო ბურჟუაზია **აქებდა** მენშევიკების აჯანყებას, **აქებდა** კრონშტადტის (1921) აჯანყებასაც, **რომელსაც ჟორდანია ადარებს პარიზის კომუნას.**

ასეა არეული ერთმანეთში ჟორდანიას მიერ ისტორიული სიმართლე და ისტორიულ სიყალბე. ყოველივე ამას სჩადის ეს „მარქსისტი" იმ მიზნით, რომ ვილაცას დაუმტკიცოს: ქართველი ხალხი მისდევს სპირიდონ კედიას, სამსონ ფირცხალავას და ნოე რამიშვილს.

ნ. კ—ძე.

უმუშევრობის საკითხის გარშემო

საჭიროთ ვსთვლი მოვიყვანო აქ შემდეგი ცნობები ამხ. ფ. მახარაძის წერილში*) წამოყენებულ კითხვებზე და ზოგიერთ ფაქტიურ შეცდომებზე, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ შრომ. სახ. კომისარ. თაოსნობასთან უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასეთი ბრძოლა უკვე გასული წლიდან სწარმოებს უმუშევრების კოლექტივების მოწყობის საშუალებით: სამრეწველო ტექნიკური კოლექტივი, მკერავთა ამხანაგობა („გრუზოდეჟდა"), ფეხსაცმელის მკერავთა კოლექტივი და სხ.

1-ლ ივნისისათვის შრომის სახ. კომისარიატთან ითვლება უმუშევრებისათვის სპეციალურად შრომითი დახმარების გაწევის წესით და შრომის ბირჟების კომიტეტების, პროფკავშირების, ქალგანყოფილებების თაოსნობით და მონაწილეობით მოწყობილი კოლექტივები: სულ 14 თბილისში. ისინი აერთებენ 900 კაცს. პროვინციაში—33 კოლექტივი—406 მუშით. სულ საქართველოში ჩვენ გვაქვს 47 კოლექტივი და იქ ითვლება 1925 წლის 1 ივნისისათვის) 1.306 კაცი. მოწყობილ და უკვე მომუშავე კოლექტივთა შორის შეგვიძლია კიდევ დავასახელოთ „წითელი მეწვრილმანენი", „1-ლი საზოგადო სამრეცხველო", ტრიკოტაჟის ქარხანა და სხვა.

იგივე შეეხება საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობას. ინტელიგენტურ მშრომელთა შორის უმუშევრობის გამწვავების გამო ჯერ კიდევ სამი თვის წინათ იყო მოწყობილი საზოგადოებრივი სამუშაოები, რომლებშიაც სამი თვის განმავლობაში 200 კაცზე მეტი მუშაობდა. დღეში თვითეულ მათგანს შრომის ხელფასი 1—50-დან 2 მანეთამდე ეძლეოდა.

ფიზიკური შრომის მუშაკებისათვის საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობა დაგვიანდა იმის გამო, რომ თავის დროზე ვერ იქნა მიღებული ფული თბ. ხაზინიდან, რომელიც ძალიან ძნელად ანაღდებს ასიგნოვებს. ეს გარემოება მ. გ. ინსპექციის კომისიამ აღნიშნა ამას წინად შრომის ბაზრის დათვალიერების დროს.

სახსრები, რომელიც შრომის სახ კომისარიატს 1-ლ მაისისათვის აქვს უმუშევრობასთან საბრძოლველად საქართველოში, უდრის 129.000 მ. კრედიტს, აქედან 1-ლ ივნისისათვის ხაზინაში ფაქტიურად განაღდებულია ასიგნოვებით 105.000 მანეთი.

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ 1925 წ. 14 მარტს გამოცემული დადგენილებით გაცემული კრედიტი შემდეგნაირად არის განაწილებული: 50 პროც. არსებული კოლექტივების გასამაგრებლად და ახლების მოსაწყობად და 50 პროც. საზოგადოებრივი სამუშაოების მოსაწყობად. მასთან საზოგადოებრივ სამუშაოებისათვის გადადებულ 64000 მანეთიდან 20.000 მანეთი მოდის ინტელიგენტური შრომის საზოგადო სამუშაოებისათვის და 44.000 მან. კიდევ ფიზიკური შრომის საზოგ. სამუშაოების მოსაწყობად.

თბილისის აღმასკომს გზის გასაყვანად ვერის ხიდიდან საქართ. სამხედრო გზამდე, ეგზლის გადაღმა მხარეს მიწის სამუშაოების წარმოებისათვის და საბურთალოს ჭაობის ამოსაშრობად გადაეცა 30.000 მან. აღმასკომი უკვე შეუდგა ამ მუშაობას. დანარჩენი სახსრები აგრეთვე გადაეცემა თბილისის აღმასკომს კანალიზაციის მოსაწყობად და რამოდენიმე თანხა კიდევ წყალდიდობისაგან გაბინძურებულ ადგილების გასაწმენდათ. სულ ამ სამუშაოებზე დაახლოვებით 500 კაცი იქნება დაბანდებული.

ამრიგად შრომის სახ. კომისარიატი მცირე მატერიალური სახსრების ფარგლებში ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ ფართოთ დააყენოს საქმე უმუშევრობის შესასუსტებლად. ამიტომ დაუმსახურებელია შრომის კომისარიატის მიერ. ამხ. ფ. მახარაძის საყვედური, რომ ის არავითარ თაოსნობას არ იჩენს უმუშევრობასთან ბრძოლაში.

მომავლისათვის განზრახულია, რომ მთელი შემოსული თანხები მარტო საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის იქნეს მოხმარებული. ამ სამუშაოების გეგმები დიდი ხანია მზად არის, მხოლოდ ჯერ ფული არაა მიღებული.

შრომის სახალხო კომისარი
ა. მიქაძე.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 123, მაისის 31.

ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში

მასიური დემონსტრაციები შანხაიში

შეტაკება უცხოელ ჯარებსა და სტუდენტებს შორის

დააპატიმრეს 600 კაცი.—ჩინელ მუშებისა და სტუდენტების მოთხოვნილებანი.—მუშების დახვრეტა უცხოელთა პოლიციის მიერ.—ჩინელთა დუქნები დაკეტილია.—შანხაი გადაიქცა საომარ ასპარეზათ.—ტრამვაის მოძრაობა შეწყდა.

დემონსტრაციები და მიტინგები

პეკინი. 2 ივნისი. 31 მაისს შანხაიში გაიმართა დემონსტრაციები და მასიური მიტინგები, რომლებზედაც სტუდენტები მოუწოდებდენ ხალხს აჯანყებისაკენ **„უცხოელ იმპერიალისტების— სისხლისმსმელების წინააღმდეგ".** დემონსტრაციების დროს დააპატიმრეს 600-დე კაცი, მაგრამ იძულებული გახდენ გაენთავისუფლებიათ დაპატიმრებულთა მეტი ნაწილი, რადგან აღარ ათავსდა ადგილი უცხოელთა უბნების ციხეებში.

გაფიცულთა მოთხოვნილებანი

პეკინი. 2 ივნისი. ჩინეთის სავაჭრო პალატის წინ შანხაიში გაიმართა ფართო მიტინგი, რომლებზედაც ილაპარაკეს იაპონელთა ფაბრიკების მუშებმა და **იმ სტუდენტებმა, რომლებიც დაჭრილი იყვნენ უცხოელების ჯარებთან შეტაკების დროს. ერთ-ერთ ორატორს—დაჭრილ სტუდენტს,—გული წაუვიდა ლაპარაკის დროს და მოკვდა.**

მიტინგმა მიიღო რეზოლიუციები, რომელშიაც მოითხოვენ დაპატიმრებულ მუშების და სტუდენტების განთავისუფლებას, ლოკაუტის შეწყვეტას იაპონელების ფაბრიკებში, კრებების, კავშირების, პრესის და გაფიცვების სრულ თავისუფლებას, უცხოელების ექსტერიტორიალობის გაუქმებას, უცხოელების ჯარების და სამხედრო გემების გაყვანას შანხაიდან, უცხოელების მმართველობის გაუქმებას შანხაიში, უცხოელთა პოლიციის დაშლას, იმ პოლიციელების დასჯას, რომელთაც ბრალი მიუძღვით იაპონელთა ფაბრიკების მუშების დახვრეტაში, დაზარალებულთა ოჯახებისათვის პენსიების მიცემას, უცხოელების ხელისუფლების მიერ ფორმალურ ბოდიშის მოხდას, ფიზიკური დასჯის გაუქმებას ფაბრიკებში, ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას და ქალების და ბავშვების შრომის დაცვას ფაბრიკებში.

ყველაფერს კომუნისტებს აბრალებს

პეკინი, 2 ივნისი. იაპონელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს იაპონიის ელჩმა ჩინეთში იოშიზავამ განაცხადა, რომ არეულობა შანხაისა და ცინდაოში გამოწვეულია კომუნისტების მიერ და რომ სტუდენტები, რომელნიც მოითხოვენ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ და უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას, განიცდიან კომუნისტურ იდეების ზეგავლენას.

შეეხო რა ჩინეთის დღევანდელ მდგომარეობას, იოშიზავამ გამოსთქვა აზრი, რომ დღევანდელ მომენტში არაა მოსალოდნელი შეტაკება ჩჟან-ძოლინთან და ფინ-იუ-სიანთან, რადგან სწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკება მთავრობასა და მათ შორის.

პროტესტი მტაცებელთა წინააღმდეგ

პეკინი. 2 ივნ. მიტინგები და დემონსტრაციები შანხაიში გრძელდებოდა 1 ივნისსაც. საპოლიციო უბნის მახლობლად მოხდა შეტაკება პოლიციასთან. ცეცხლის მქრობელებმა სცადეს ხალხის გაფანტვა წყლის შეშვებით, მაგრამ ვერაფერს გახდენ. ამის შემდეგ პოლიციამ აუტეხა ხალხს სროლა და სასიკვდილოთ დასჭრა 4 სტუდენტი.

უცხოელების უბანში გამოცხადებულია საალყო წესები. ქუჩებს იცავენ პოლიციელები, მობილიზაციით გაწვეული მოხალისეთა რაზმები, რომლებიც შეიარაღებული არიან ტყვიისმფრქვევლებით და ჯავშნოსნებით. შანხაი ჰგავს ისეთ ქალაქს, რომელშიაც სწარმოებს საომარი მოქმედება. ჩინელების დუქნები დაკეტილია და დუქნების კარებზე გაკრულია მოთხოვნილებები, რომლებიც წამოყენებული იყო 31 მაისის მიტინგებზე.

მთელს ქალაქში, განსაკუთრებით მუშათა და სტუდენტთა უბნებში, 1 ივნისს დილით იმართებოდა **მიტინგები, რომლებზედაც მოსახლეობას მოუწოდებდენ ბრძოლისაკენ უცხოელ მჩაგვრელების წინააღმდეგ.**

სტუდენტები და მუშები აჩერებდენ ტრამვაის ვაგონებს და ურიგებდენ მგზავრებს ფურცლებს და პროკლამაციებს, დღის 3 საათზე შეწყდა ტრამვაის მოძრაობა.

მიტინგებზე და თათბირებზე ირჩეოდა საკითხი საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

შანხაიში უცხოელთა უბნის არსებობის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა მოსახლეობა ერთსულოვნად გამოდის იმპერიალისტების წინააღმდეგ და პირდაპირ სვამს საკითხს იმ ძალა-უფლების მოსპობის შესახებ, რომელიც ხელში ჩაიგდეს უცხოელებმა.

ინგლისის კომპარტიის ყრილობა

მოულოდნელი სტუმრები

ლონდონი. 2 ივნისი. ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონმა ხიქსმა თავის დროზე პარლამენტში განაცხადა, **რომ არც ერთი უცხოელი კომუნისტი არ იქნება დაშვებული ინგლისში,** ინგლისის კომპარტიის ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ, ორშაბათს ყრილობის სხდომის მიმდინარეობის დროს უეცრათ დაკეტეს **შენობის კარები და ტრიბუნაზე გამოჩნდენ გერმანელი კომუნისტი შტეკკერი და საფრანგეთის მუშა ქალების წარმომადგენელი მარსელ ლებელი, რომლებსაც მქუხარე ტაშით შეხვდენ.**

შტეკკერმა განაცხადა, რომ თუ ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს ასეთი ზომებით შეაჩეროს ბრიტანეთის რევოლიუციის განვითარება, როგორიც არის ინგლისში უცხოელი კომუნისტების ჩასვლის აკრძალვა, მაშინ ის გულუბრყვილობას იჩენს. ცდა იმისა, **რომ ჩინური კედელი იქნეს გავლებული სხვადასხვა ქვეყნების პროლეტარიატს შორის მხოლოდ გააძლიერებს მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას.**

მარსელ ლებელმა სასტიკათ გააკრიტიკა ჩემბერლენი და აღნიშნა, რომ მისი და ერრიოს შეხვედრის დროს რეპრესიები საფრანგეთის მუშების წინააღმდეგ საშინლათ გაძლიერდა.

სიტყვები გადათარგმნილი იქნა ინგლისურ ენაზე, რის შემდეგაც ორივე ორატორი გაქრა. სხდომის კარები დაკეტილი იყო საათნახევარის განმავლობაში.

გლაზგო. 2 ივნისი. გერმანელი კომუნისტის შტეკკერის გამოჩენამ მით უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ შენობა, რომელშიაც **ყრილობა მიმდინარეობს, გარშემორტყმულია ჯაშუშებით, და ყველა სასტუმროები და კერძო ბინები,** სადაც დელეგატები დაბინავდენ, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

შტეკკერი მიესალმა ყრილობას და აღნიშნა, რომ გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობა დოუესის გეგმის გამო ხელს უწყობს ინგლის-ამერიკის კაპიტალის შეტევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი შეტევის დაწყებისთანავე გერმანიაში იფეთქებს სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი.

ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როგორ მოხვდა შტეკკერი ყრილობაზე, მან უპასუხა: „მრავალი წლის წინათ კომინტერნმა, იგრძნო რა ასეთი შემთხვევის შესაძლებლობა დაიწყო გვირაბის გაყვანა ლამანშის არხის ქვეშ. აი სწორეთ ამ გვირაბით შემოვედი ინგლისში".

საფრანგეთის დელეგატმა ქალმა თავის მისალმებაში დაახასიათა საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკა მაროკოში, რომელსაც (პოლიტიკას) მხარს უჭერენ საფრანგეთის სოციალისტები. შემდეგ ლებელმა მოუწოდა ბრიტანეთის კომპარტიას გააძლიეროს ბრძოლა მაროკოს ომის წინააღმდეგ.

მისალმებათა მოსმენის შემდეგ თავჯდომარემ მაკ მანუსმა ყრილობას და დამსწრე კორესპონდენტებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ გერმანიის და საფრანგეთის დელეგატების გამოსვლა ასეთ პირობებში მოხდა, ეკისრება ყრილობას კი არა, არამედ ბრიტანეთის მთავრობას. მაკ მანუსმა განაცხადა, რომ პოლიციას უნდოდა ჩხრეკა მოეხდინა იმ სასტუმროებში, სადაც დელეგატები დაბინავდენ, მაგრამ ცდა უშედეგოთ გათავდა.

ყრილობის დახურვა

გლაზგო. 2 ივნისი. ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე ახალგაზრდობის კავშირის მდივანმა **რესტმა** ცეკას სახელით წარადგინა რეზოლიუცია ახალგაზრდობის მოძრაობის შესახებ. რეზოლიუცია ხაზს უსვამს ახალგაზრდა კომკავშირის მნიშვნელობას და წინადადებას იძლევა, რათა ყველგან მოეწყოს ახალგაზრდობის საქარხნო უჯრედები იქ, სადაც არსებობს პარტიული უჯრედები.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი **ბიუკენენი,** რომელმაც მწუხარება გამოსთქვა, რომ მას არ შეეძლო დასწრებოდა დილის სხდომას და მისალმებოდა გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელს.

[illegible] მიესალმა კონფერენციას, როგორც ნამდვილ პროლეტარულ ჯგუფს, რომელსაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

შემდეგ **რებეკკმა** გამოაქვეყნა თეზისები პარტიის ბოლშევიზაციის შესახებ.

ტროცკიზმის შესახებ მოხსენება გააკეთა **ბელმა.**

ქალთა შორის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ტურნერმა.**

გაზეთ „სანდეი უორკერის" გავრცელების შესახებ მოხსენებას აკეთებს **ხოუკინსი.** მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ თუმცა ეს გაზეთი არ წარმოადგენს პარტიის ორგანოს, მაგრამ მაინც მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა პარტიისათვის და მიუხედავად ბოიკოტისა, **გაზეთის ტირაჟი ავიდა 200.000 ცალამდე.**

კომისიების მოხსენებების შემდეგ **ბერროუს** ორგანიზაციას ზეიმით გადაეცა საბჭოთა კავშირის მიერ გამოგზავნილი დროშა.

შემდეგ პოლიტტმა აღნიშნა, რომ პარტიამ გამოიმუშავა გარკვეული პოლიტიკური ხაზი და ყრილობა დახურულათ გამოაცხადა.

ავსტრიამ ბოდიში მოიხადა

ვენა, 2 ივნისი. ავსტრიის კანცლერის სამდივნომ 2 ივნისს ვენაში მყოფ ყველა უცხოეთის წარმომადგენლებს დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარული ცნობა:

23 მაისის ცირკულიარის გამო, გარეშე საქმეთა სამინისტროს სამდივნო უგზავნის უცხოეთის წარმომადგენლებს 28 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებას, საიდანაც სჩანს, რომ მინისტრ მატაიას, როდესაც ის ლაპარაკობდა ვენაში კომუნისტურ ცენტრის არსებობის შესახებ, მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ თეორეტიული შესაძლებლობა იმისა, რომ საბჭოთა აპარატი გამოყენებული იქნებოდა კომინტერნის პროპაგანდის მიზნით, ვინაიდან პრაქტიკაში რაიმე ეჭვი ამის შესახებ არავის არ დაბადებია.

ამგვარად ავსტრიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ უკან წაიღო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდებანი. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ამის გამო განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ამოწურულად სთვლის ინციდენტს.

ომი მაროკოში

სისხლის ღვრა მაროკოში

პარიზი, 2 ივნისი. გაზეთების კორესპონდენტების ცნობებიდან და ჯარისკაცების წერილებიდან იხატება მაროკოში სამხედრო მოქმედებათა ნამდვილი სურათი.

ირკვევა, **რომ სამხედრო მოქმედებას აქვს სისხლისმღვრელი ხასიათი. „იუმანიტე" იუწყება, რომ უკანასკნელ ორ კვირაში მაროკოში გაიგზავნა 25.000 კაცი.**

დაპატიმრება მარსელში

პარიზი, 2 ივნისი. პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა მარსელში. ადგილი ჰქონდა აგრეთვე მთელ რიგ დაპატიმრებას, რომლის დროსაც ვითომდა ჩამორთმეული იქნა ანტიმილიტარისტული მოწოდებანი, რომელიც უნდა გავრცელებულიყო მაროკოში მყოფ ფრანგ-ჯარისკაცებს შორის.

დე-რივერა იმუქრება

პარიზი, 2 ივნისი. მადრიდიდან მიღებული ცნობით, ესპანეთის დიქტატორმა დე-რივერამ განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ბოლო მოუღოს აჯანყებას მაროკოში. დე-რივერამ გამოსთქვა იმედი, რომ ესპანეთი ჩქარა დაიპყრობს მაროკოს მთელ სანაპიროებს. ეს განცხადება ნიშნავს, იმას, რომ მოსალოდნელია მაროკოში ესპანეთის ახალი არმიის გაგზავნა, მიუხედავად ამის შესახებ წინად გამოქვეყნებულ გამაბათილებელ ცნობებისა.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა სტუდენტობის კონფერენცია საფრანგეთში

პარიჟი, 2 ივნისი. გაიმართა საბჭოთა მოქალაქე სტუდენტების პირველი კონფერენცია საფრანგეთში. კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება მხურვალე სალამი გაუგზავნოს საბჭოთა წითელ, პროლეტარულ სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროს მოსკოვში.

მუშების დევნა

პრაგა, 2 ივნისი. კარპატის მხარეში, სადგ. ბერეგოვოში შეტაკება მოხდა ერთის მხრივ აგურის ქარხნის გაფიცულ მუშებსა და მეორეს მხრივ სტრაიკნიკებსა და ჟანდარმებს შორის, რომელნიც იცავდენ სამუშაოდ მოყვანილ შტრეიკბრეხერებს. სროლის დროს სტრაიკნიკებმა მოკლეს მუშა ქალი და დასჭრეს ერთი მუშა. გაფიცულებმა ქვებით დასჭრეს სამი სტრაიკნიკი და სამი ჟანდარმი. დააპატიმრეს 6 მუშა კომუნისტი.

„კრიტიკული“ მდგომარეობა

ვაშინგტონი, 2 ივნისი. კანტონიდან სახელმწიფო დეპარტამენტში მოსული ცნობების მიხედვით მდგომარეობა იქ „მეტად კრიტიკულია.

შანხაიდან მოსული ცნობებით უცხოეთის კონსულები მოითხოვენ, რომ სამხედრო გემებიდან გადასხან 2.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი უცხოეთის მოქალაქეთა „ქონების დასაცავად“.

შეერთებული შტატები არ მონაწილეობენ ლონდონის კონფერენციაზე

ვაშინგტონი. 2 ივნისი. სახელმწიფო დეპარტამენტმა და ფინანსთა სამინისტრომ უარყვეს ჰარვეის წინადადება იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს მონაწილეობა მიეღოთ ლონდონის კონფერენციაზე საკავშირო ვალების შესახებ.

ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ შეერთებულ შტატებს არა სურთ მონაწილეობა მიიღონ ამგვარ კონფერეციაში, რადგანაც იქ ეცდებიან, რომ შეაკავშირონ საკითხი ვალის გადახდის შესახებ, რომელიც ერგება ამერიკას, სარეპარაციო გადასახადის შეტანის საკითხთან.

ელჩთა კონფერენციის ნოტა

ბერლინი, 2 ივნისი. ელჩთა კონფერენციის ნოტა გერმანიის განიარაღების შესახებ მიიღეს ბერლინში ანტანტის საელჩოებმა გერმანიის მთავრობისათვის გადასაცემად. ფიქრობენ, რომ ელჩები ნოტას კოლექტიურად გადასცემენ 4 ივნისს ლიუტერს.

ბერლინის გაზეთების ცნობით, ნოტა მოითხოვს რეიხსვერის თანამედროვე საშტაბო დაწესებულებათა გაუქმებას; ანტანტის აზრით ეს დაწესებულებები წარმოადგენენ გერმანიის იმპერატორის დროის ჯარის ძველი შტაბების ახალ ფორმას

ნოტა მოითხოვს აგრეთვე ოფიცერთა შემადგენლობის შემცირებას და სამხედრო სამინისტროს ზოგიერთი განყოფილების გაუქმებას.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ნოტა მიმართულია გერმანიაში გაზების კეთების წინააღმდეგ და მოითხოვს კრუპის ქარხნების ზოგიერთი ნაწილის დარღვევას.

ნოტის შინაარსმა მღელვარება გამოიწვია ბერლინის ბირჟაზე.

რა ხდება ჩინეთში!

პეკინი, 2 ივნისი. შანხაიდან მიღებულ ცნობის თანახმად შეჯახების დროს მოკლულია 15, მძიმედ დაჭრილია 40 (აქედან 6 უიმედოა) მსუბუქად დაჭრილია 100 კაცი.

მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა. ქუჩებშიაღელვებული ხალხი თავს ესხმოდა იაპონიის საზღვაო ოფიცრებს, რომელნიც ესროდენ და ხოცდენ ხალხს.

შანხაიში განუწყვეტლივ იმართება სხდომები იაპონიის, ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის და იტალიის ელჩებისა.

პეკინის სტუდენტობამ დაადგინა: შესწყდეს მეცადინეობა ყველა სკოლებსა და უნივერსიტეტებში. გამოიცეს მოწოდება, სადაც აღნიშნული იქნება ინგლისელებისა და იაპონელების ბოროტმოქმედება, შესწყვიტოს ჩინეთმა ყოველგვარი ეკონომიური კავშირი ინგლის—იაპონიას და სხვ ქუჩებში ყველგან იმართება საპროტესტო მიტინგები.

ჩინეთის საპროტესტო ნოტა ინგლისისა და იაპონიის მიმართ

პეკინი, 2 ივნისი. მთავრობის სხდომაზე განიხილეს შექმნილი მდგომარეობა. შანხაიში მომხდარ ამბების დაუყოვნებლივ გამოსარკვევად დაინიშნენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ცზენ-ცზუნგ-ჩენი და ამირბარი ცზაი-ტინგ-კანი. მიიღეს აგრეთვე დადგენილება პროტესტის გამოცხადების შესახებ.

2 ივნისს პროტესტი გადაეცა საგარეო საქმეთა მინისტის მიერ ინგლისისა და იაპონიის წარმომადგენლებს. **ნოტა გამოსთქვამს** აღშფოთებას უცხოეთის პოლიციის მოქმედებით შანხაიში და ამგვარ ინციდენტების განმეორების თავიდან აცილების მიზნით მოითხოვს გაცემულ იქნეს განკარგულება შანხაის კონსულებისადმი ყველა დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.

ისტორიის მოხერხებული ფილოსოფია

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი, 3 ივნისი. „იზვესტია“ მეთაურ წერილში სწერს:

„კომუნისტების პროცესზე ბელგრადში პროკურორმა, მოიგონა რა სოფიაში მომხდარი აფეთქება, განაცხადა, რომ ამ შეთქმულებათა სულისჩამდგმელია საბჭოთა კავშირი. აი როგორ სახეს იღებს უკვე ის ფორმულა, რომლებიც წამოაყენეს საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა. წინეთ ამბობდენ, რომ ყველაფერში დამნაშავეა კომინტერნი, ეხლა კი ამბობენ, რომ ყველაფერში უშუალო დამნაშავეა საბჭოთა კავშირი და საბჭოთა მთავრობა.

ასეთია ჩვენი მტრების ისტორიის გამარტივებული ფილოსოფია—მტრების, რომლებიც იარაღს ეძებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მტრების მიერ შეფასება მსოფლიოში მომხდარ ამბებისა სულელური და უაზროა (ყველაფერს საბჭოთა მთავრობის ხრიკებით ხსნიან), ამას მაინც აქვს თავისი აზრი: ის ხელსაყრელია ბურჟუაზიული ქვეყნების გაბატონებული კლასებისათვის. ის უპირველეს ყოვლისა ხელსაყრელია შინაური ხმარებისათვის, „შინაურ მტრებთან“ ანგარიშის გასწორებისათვის. ის უადვილებს მთავრობებს იმ მუშაობას, რომლის მიზანია ყოველგვარი უკმაყოფილების ჩაქრობა და ჩაჩუმება. ამ ხერხით სარგებლობენ ყოველთვის, როდესაც საჭიროა რეაქციონურ ღონისძიებათა გამართლება. იმას ჩასჩრიან ხოლმე პირში ოპოზიციას. იმით ამართლებენ ყოველგვარ რეპრესიებს.

ბურჟუაზიის ამოცანა არანაკლებ ადვილდება ასეთი განმარტებით საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში, როდესაც საჭიროა ხხვისი ტერიტორიის უკანონოთ დაპყრობის ანდა რომელიმე ერის ჩაგვრის გამართლება თავისი და სხვა ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის წინაშე,—იმ წამსვე სცენაზე გამოჩნდება მოხერხებული ფილოსოფია მოსკოვის ხრიკების შესახებ. ამას იყენებენ, მაგალითად, ეხლა საფრანგეთის იმპერიალისტები მაროკოს მიმართ.

დაბოლოს, როდესაც საჭიროა ძალდატანების მოხდენა საბჭოთა კავშირზე, აქაც იმავე საშუალებას მიმართავენ და საბჭოთა კავშირს ახასიათებენ, როგორც თავდამსხმელ მხარეს.

მშრომელი მასები, ბოლოს და ბოლოს, გაიგებენ ამ ფორმულის მთელ სიყალბეს და გამოიცნობენ საერთაშორისო რეაქციის ამ საიმედო იარაღის ნამდვილ მნიშვნელობას“.

შეტაკება ვენაში

ფაშისტების დემონსტრაცია.

ვენა. 2 ივნისი. ავსტრიის არმიის მებრძოლების დღესასწაულის დროს ქალაქ ლინცში, მიუხედავად აკრძალვისა, **გამოცხადდენ კომუნისტურ ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი ჯგუფები და შეეცადენ მოეწყოთ დემონსტრაცია. მოხდა სერიოზული შეტაკება პოლიციასთან, რომელიც მოქმედობდა ცივი იარაღით, ორივე მხრივ მრავალია დაჭრილები. პოლიციამ დააპატიმრა 250 კომუნისტი. აქედან 150 დაუყოვნებლივ იქნენ განთავისუფლებული, მაგრამ იძულებითი წესით გაიგზავნენ ვენაში.**

პოლონეთის ჯაშუშთა საქმე

ხარკოვი, 2 ივნისი. დამთავრდა ბრალდებულთა და მოწმეთა დაკითხვა გენერალ ბელავინის საქმის გარშემო. დაიწყო მხარეების კამათი. პროკურორმა ვერტლუჟსკიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელიც ხუთი საათი გაგრძელდა. მან ზედმიწევნით განიხილა მთელი საგამომძიებლო მასალა, რომელიც ამტკიცებს უკრაინაში პოლონეთის ჯაშუშთა ორგანიზაციების მუშაობას.

პროკურორმა ბრალ[illegible] ჯგუფათ გაჰყო. პროკურორი ვრცლად შეეხო მთავარ ბრალდებულებს ბელავინს და ნინა კრუეჩკოვსკაიას: ახასიათებს მათ ურთიერთ დამოკიდებულებას, იხილავს ბელავინის შაიკის დაარსებას, ნინა კრუეჩკოვსკაიათი გატაცებას და ბელავინის მთელ ბოროტმოქმედების თანდათან განვითარებას.

ბელავინის და [illegible] კრუეჩკოვსკაიას მიმართ პროკურორი მოითხოვს დახვ-

სასარეწაო კოოპერაციის ამოცანები

ამხ. რიკოვის მოხსენება

სასარეწაო კოოპერაც. რწმუნებულთა ყრილობაზე

მოსკოვი. 2 ივნისი. 30 მაისს სრულიად რუსეთის სასარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა კრებაზე რიკოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა:

კოოპერატიული გზით.

კოოპერატიულ მშენებლობას უჭირავს ერთ-ერთი მთავარი ადგილი საბჭოთა კავშირის მთავრობის მოქმედების პროგრამაში. გლეხობა, რომელიც ჯერ კიდევ გაჭირვებას განიცდის, ენერგიულად შეუდგა თავის მეურნეობის აღდგენას. გლეხის მეურნეობაში დაწყებული დოვლათის დაგროვება ჩვენ უნდა ჩავაყენოთ ისეთ კალაპოტში, რომელიც უზრუნველჰყოფს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობის ინტერესებს.

შინა-მრეწველობის კოოპერაციის წინაშე დასმულია მნიშვნელოვანი ამოცანები.

საქონლის ნაკლებობა თავიდან უნდა იქნას აშორებული.

ჯერ-ერთი შინა-მრეწველობის კოოპერაციამ უნდა აიშოროს თავიდან საქონლის ნაკლებობა. ბაზრის გასავსებათ ზოგიერთ საჭირო საქონლით საჭიროა ახალი ფაბრიკების აშენება, ხოლო ამას დასჭირდება მრავალი წლები. სანამ საკმაოდ არ გაფართოვდება ძირითადი თანხა, ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოხდება წვრილი მრეწველობის და შინამრეწველობის განვითარების ხარჯზე და საზღვარ-გარეთიდან დამზადებულ ნაწარმოების შემოტანით. წვრილი შინა-მრეწველობის და სამრეწველო კოოპერაციის საწარმოვო შესაძლებლობანი საქონლის ნაკლულოვანებასთან საბრძოლველად გამოყენებული უნდა იქნას მთლიანად.

ბრძოლა გლეხობის უმუშევრობის წინააღმდეგ.

სასარეწაო კოოპერაციას აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ უმუშევარ გლეხობას აძლევს სამუშაოს სასოფლო-სამეურნეო მუშაობისაგან თავისუფალ დროს.

როგორ უნდა ვებრძოლოთ „სოფლის ბოგოლას“.

შემდეგ რიკოვი აღნიშნავს, რომ გლეხური ბურჟუაზიის დროებითი აღორძინების საფრთხის წინააღმდეგ საჭიროა ვიბრძოლოთ არა ადმინისტრატიული მეთოდებით, არამედ სამეურნეო კონკურენციის მეთოდებით. დახმარება უნდა გაუწიოთ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხს, გავაძლიეროთ გლეხთა მშრომელ მასების თვითმოქმედება და სოციალური საფუძველი ჩვენს ეკონომიკაში. დღემდის კოოპერაცია, განსაკუთრებით შინა-მრეწველობის კოოპერაცია უკან რჩებოდა ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ტემპს. ეხლა—სთქვა რიკოვმა—ხშირად შეხვდებით მიწის მუშა გლეხს—რომელიც არის გატაცებული კოოპერაციით. ეს გლეხები მთელ თავის ენერგიას და გამოცდილებას ახმარენ იმას, რათა მოაწყონ სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია. ასეთივე გატაცებული კოოპერატორები მოიპოვებიან სამომხმარებლო კოოპერაციის დარგშიაც.

მაგრამ მე არ შევხვედრივარ ღარიბ გლეხს, რომელიც ასეთივე გატაცებით ეწეოდეს სასარეწაო კოოპერაციის მშენებლობას. სანამ თვით გლეხობაში არ დაიწყება მასიური მოძრაობა შინა-მრეწველობის კოოპერაციის მოწყობის ნიადაგზე, მანამ გაგრძელდება ისეთივე მდგომარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლების განმავლობაში.

პირველ რიგში.

როგორი მოთხოვნილება უნდა წაუყენოთ შინა-მრეწველობის კოოპერაციის მუშაკებს?

„მე ვფიქრობ—ამბობს რიკოვი—რომ ეს მოთხოვნილებანი ასეთია: პირველყოვლისა მძლავრი დაბალი საფეხურის კოოპერატიული მოძრაობა და იმ გლეხების დაწინაურება, რომელნიც გატაცებული არიან კოოპერატიული საქმით; მეორე—ზედმიწევნით მოფიქრებული მუშაობის გეგმა ახლო მომავლისათვის. ეს გეგმა უნდა იქნას დაკავშირებული ბაზრის მოთხოვნილებასთან.

შინა-მრეწველები განსხვავდებიან გლეხობის მთელი მასისაგან იმით, რომ წარმოადგენენ ისეთ ელემენტს, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული ქალაქთან. სასარეწაო კოოპერაცია უფრო მძლავრად იზიდავს გლეხს, ვიდრე სამომხმარებლო კოოპერაცია. საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის უკანასკნელი დადგენილებანი შინა-მრეწველის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ერთის მხრივ და სასურველი საერთო სამეურნეო კონიუნქტურა—მეორეს მხრივ ჰქმნის სათანადო პირობებს შინა-მრეწველობის კოოპერაციის წარმატებით განვითარებისათვის“.

სწავლა-განათლების საქმე აჭარისტანში

(საუბარი აჭარისტანის განათლების სახალხო კომისართან ამხ. სულეიმან ვარშანიძესთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარმა ამხ. სულეიმან ვარშანიძემ აჭარისტანში სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— აჭარისტანის საბჭოთა მე-4 ყრილობის დადგენილების თანახმათ, განათლების კომისარიატმა შეიმუშავა პრაქტიკული მუშაობის გეგმა, რომელიც განხილული და დამტკიცებული იქნა სახკომსაბჭოს მიერ. გასული წლის განმავლობაში კომისარიატი აწარმოებდა მუშაობას გეგმის ფარგლებში და მთავარი მუხლები გეგმისა გაატარა კიდეც ცხოვრებაში.

ეჭვს გარეშეა, რომ კომისარიატის ეს მიღწევა აიხსნება აჭარისტანის ფუხარა ხალხის დახმარებით. ამ უკანასკნელმა არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით მოჰკიდა ხელი განათლების საქმეს, ის გვერდში ამოუდგა კომისარიატს და ყველა მის მიერ წამოწყებულ საქმეს ნდობით ეპყრობოდა და მტკიცე ხელით ატარებდა სოფლის სინამდვილეში.

მაგალითად, არა ერთი და ორი სასკოლო ბინა იქნა აგებული ფუხარა ხალხის მიერ საკუთარი ინიციატივით და ხარჯებით. ფუხარამ უკვე შეიგნო, თუ რა მნიშვნელობა აქვს განათლებას, კულტურას; მან უკვე იცის, რომ მისი საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა ცოდნის შეძენა, რათა რაც შეიძლება ჩქარა და საბოლოოთ დაამარცხოს თავისი მოსისხლე მტერი—ბურჟუაზია და დაამყაროს სოციალიზმი.

სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თვალსაჩინოთ გაიზარდა საბჭოთა სკოლების რიცხვი აჭარისტანში. სოფელი არ არის, რომ სკოლას ჯერ მოითხოვდენ. სკოლების რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება მოწაფეთა რიცხვიც. ამასთანავე საგრძნობლად გაიზარდა აჭარელ მოწაფე ქალთა რაოდენობაც, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს აჭარისტანის ცხოვრებაში.

ამრიგად კომისარიატის მუშაობისათვის შექმნილია ხელსაყრელი პირობები; თვით ფუხარა ხალხი აძლევს კომისარიატს ენერგიას დაუღალავი მუშაობისათვის.

მეორეს მხრივ, აღსანიშნავია ის, რომ გაუმჯობესდა კომისარიატის მატერიალური ბაზა. განათლების საქმეზე აჭარისტანის მთავრობა ხარჯავს საშუალოთ 50 პროც. თავის თანხებისას. გაუმჯობესდა აგრეთვე მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობაც, ასე რომ სახალხო მასწავლებელი ეხლა, შედარებით გასულ წლებთან, უფრო უზრუნველყოფილია და მეტი ხალისითაც ეკიდება თავის საქმეს.

1924 წლის განმავლობაში განათლების საქმეზე დაიხარჯა სულ—248.528 მ. 05 კ.

სწავლა-აღზრდას ფუხარა ბავშვები იწყებენ საბავშვო სახლში, იქ რჩებიან 8 წლამდი, შემდეგ გადადიან პირველი საფეხურის სკოლებში, რომელთა ხანგრძლივობა განისაზღვრება 4 წლიწადით; ამ სკოლებს ათავებენ 12 წელი რომ შეუსრულდებათ, შემდეგ კი გადადიან პირველ და მეორე კონცენტრში.

სკოლების საერთო რაოდენობა აჭარისტანში ასეთია:

ქ. ბათომში—14 შრომის სკოლა, პირველი და მეორე საფეხურის. ბათომში არსებობს აგრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტი, ელექტრო-მექანიკური ტეხნიკუმი, აგრონომიული ინსტიტუტის მოსამზადებელი კლასები, აჭარელ ბავშვთა სახლი № 1, ინტერნაციონალური შემადგენლობის საბავშვო სახლი № 2, მუშათა ტეხნიკუმი, ბავშვთა ბაღი და კლუბი.

მაზრებში არსებობს 100 სკოლა, რომლებიც დანაწილებულია შემდეგნაირად: ხულოს მაზრა—25, ქედის მაზრა—18, აჭარის წყალის მაზრა—8, ჭოროხის მაზრა—19 და ქობულეთის მაზრა—30.

მოსწავლეთა საერთო რიცხვი უდრის 10.055, მათ შორის ქალაქში—5.549, მაზრებში—4.056; ვაჟები სულ (ქალაქში და მაზრებში) 6.497. მათ შორის ქალაქში—3.059. ამ რიცხვიდან 369 აჭარელია. ქალები სულ 3.558, მათ შორის ქალაქში—2.490, მაზრებში—1.068.

მასწავლებლები სულ—516; მათ შორის ქალაქში—232, მაზრებში—284.

ფოთის ჭაობის ამოშრობა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს ახლო მომავალში შეუდგეს ფოთის ჭაობების ამოშრობას. ამ ჭაობების ამოშრობით მშრომელ გლეხობას შეეძინება 300,000 დესიატინა მიწა, სავსებით გამოსადეგი სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის. ამ მიწების მეტ ნაწილზე დათესილი იქნება ბალახი, რაც გაანოყიერებს ნიადაგს და ხელს შეუწყობს სარძეო მეურნეობას.

მიწების მცირე ნაწილი გამოყენებული იქნება ბოსტნეულისათვის, მწვანეულობა იხარებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ადგილებზე კარგად იხარებს აგრეთვე ზემო სამეგრელოში არსებული ხეხილებიც: ვაშლი, მანდარინები, [illegible] და სხვ. ინტენსიურ სამრეწველო კულტურებისაგან შესაძლებელი იქნება ჩაის, თამბაქოს, პალმების და სხვ. გაშ-

ამ 130,000 დესეტინიდან 50,000 წარმოადგენს სავსებით ხელუხლებელ სივრცეს. ამ ადგილებზე ხალხის დასასახლებლად მიწები დაყოფილი იქნება ნაკვეთებად, თითო კომლს მიეცემა 5 დესეტინა. ამ მიწაზე რომ დაითესოს სიმინდი, რომელიც ჰალადიდის რაიონში იძლევა 140 ფუთს დესეტინაზე, მივიღებთ 7,000,000 ფუთ სიმინდს, რაც შეადგენს 5,600,000 მანეთს წლიურად.

ამას გარდა ფოთის ჭაობების ამოშრობით მოსახლეობა თავს დააღწევს მალარიას, რომელიც ფართოდ არის მოდებული ამ ადგილებში.

გაიზრდება სათესი მოედანი, რომელიც დაურიგდება უმიწაწყლო გლეხობას და დაეტყობა დიდი წინსვლა სასოფლო-სამეურნეო ცხოვ-

ეკონომიური ცხოვრება

საქ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

სააბრეშუმო კომიტეტი.

უმ. ეკ. საბჭომ დაამტკიცა საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ გამომუშავებული გეგმა სააბრეშუმო ცენტრალურ კომიტეტის დაარსების შესახებ.

გეოლოგიური ინსტიტუტი.

ცნობილ იქნა საჭიროდ საქ. განათლების სახალხო კომისარიატთან გეოლოგიურ ინსტიტუტის დაარსება.

გზა-ტკეცილების მშენებლობის გეგმა.

დამტკიცებული იქნა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი 5 წლიანი გეგმა საქართველოს საგზატკეცილო მშენებლობის შესახებ.

ქარხნის გადაცემა.

უმ. ეკ. საბჭომ ქარხანა „ბავშვთა კვება“ გადასცა მუშკოოპს.

აბასთუმანსა და ბორჯომში

მუშა მოსამსახურეთათვის გამოყოფილი იქნა მთელი საცხოვრებელი ბინების სამი მეოთხედი.

თბ. ბაზრისთვის სათესლი მასალის

შესაძენად უმ. ეკ. საბჭომ გადასდო 7 ათასი მან.

ახალი არტელი „შენება“.

დამტკიცებულ იქნა მშენებელთა შრომის არტელი „შენების“ წესდება.

მინერალური წყლები.

უმ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა მთავარ საკურორტო სამმართველოს მოახდინოს ჯავას (სამხრეთ ოსეთი) მინერალური წყლების გამოკვლევა.

ვაჭრობის გაცხოველება თბილისში

(საფონდო საქონლის ბირჟის ცნობებით).

სხვადასხვა ქალაქებიდან მოსულ ცნობებით საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან ცენტრებში შემჩნეულია საქონლის ბრუნვის გამოცოცხლება-გაცხოველება.

კერძოდ ასეთივე გამოცოცხლება დაეტყო ამ უკანასკნელ პერიოდში თბილისის საქონლის-საფონდო ბირჟის მოქმედებას.

საქონლის ბრუნვის სწრაფი ზრდა.

თბილისის საქონლის—საფონდო ბირჟის მიერ აღრიცხულ საქონლის ბრუნვა მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში უდრის 34 ნახ. მილიონ მანეთს მაშინ, როდესაც მთელი გასული სამეურნეო წლის საქონლის ბრუნვა უდრიდა 33 მილ. მანეთს.

საქონლის ბრუნვის გადიდების მიზეზები.

საქონლის ბრუნვის ასეთი ზრდა აიხსნება იმდენად არასაბირჟო აღრიცხვის კარგად დაყენებით, რამდენად საქონლის ბრუნვის საერთო გაცხოველებით, რომელიც პირდაპირი შედეგია მთელი ქვეყნის სამეურნეო აღორძინებისა.

კერძოდ ამიერ-კავკასიაში და საქართველოში საქონლის ბრუნვის გადიდების ერთ-ერთი მიზეზი არის ის გარემოება, რომ მაღალი კულტურის (ბამბის, თამბაქოს, მატყლის, ჩაის და სხვ.) აღდგენის გამო, გაიზარდა გლეხის მსყიდველობითი უნარიანობა.

რამდენიმედ გაუმჯობესდა აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობაც.

სახელმწიფო და კერძო ვაჭრობა.

საქონლის მთავარ გამყიდველებად გამოდიან სახელმწიფო ორგანოები, რომელთა ხელში თავს იყრის თითქმის მთელი მრეწველობის პროდუქცია. კოოპერაციის და კერძო კაპიტალის როლი გაყიდვაში ნაკლებია. რაც შეეხება შესყიდვას, აქ პირველი ადგილი უჭირავთ სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციას.

უკანასკნელ თვეებამდე კერძო კაპიტალის მონაწილეობა საერთო სავაჭრო ბრუნვაში უმნიშვნელო იყო. გამომუშავებულ ახალი სავაჭრო პრაქტიკის გამო, რომელიც საქონლის ბრუნვის გაძლიერების საჭიროებით არის გამოწვეული, კერძო კაპიტალის მონაწილეობა სავაჭრო ბრუნვაში გაძლიერებული უნდა იქნეს, თუმცა ამ ახალ სავაჭრო პრაქტიკას თბილისში ჯერ-ჯერობით არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ გამოუწვევია: კერძო კაპიტალის მონაწილეობა საქონლის საერთო ბრუნვაში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა.

ცხადია კერძო კაპიტალის მონაწილეობა საერთო სავაჭრო ბრუნვაში დამოკიდებულია მასზე, თუ როგორ გადაწყდება საკითხები კერძო ვაჭრობაზე გადასახადების და კომუნალური ამონაღებების შეწერის და მისთვის ბანკებიდან სესხის მიცემის შესახებ.

ხე-ტყის ახალი ქარხნები

ამჟამად გაფართოებული სხვადასხვა ხასიათის მშენებლობისათვის საჭირო ხდება დიდი ძალი დამზადებული ხე-ტყის მასალა. დღემდე არსებული ხე-ტყის ქარხნები უკვე ვერ აკმაყოფილებენ საჭიროებას.

ამიტომ საქართველოს სატყეო ტრესტმა გადასწყვიტა მოაწყოს ამ მოკლე ხანში ხე-ტყის სამი სახერხი ქარხანა ახალი კონსტრუქციისა. ამჟამად საქარ. სატყეო ტრესტი ამუშავებს პროექტებს ქარხნების ასაგებად.

პროექტები დასრულებისთანავე გაეგზავნება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად და ქარხნის ასაგები თანხის გამოსათხოვად.

ქარხნების აგება განზრახულია შემდეგ ადგილებში:

ერთი ქარხანა, რომელიც დაამზადებს თვიურად მილიონ ნახევარ კუბიკურ ფუტს ხე-ტყეს და ყუთებს, აგებული იქნება ზუგდიდის მაზრაში,—დაბა შამგონში,—იმ მიდამოებში, რომელიც ახალი რკინის გზის საალმშენებლო რაიონის ახლო მდებარეობს.

მეორე ქარხანა იმავე ზომისა და ძალოვნების, როგორც პირველი, განზრახულია მოეწყოს ბაღდათის—სატყეო რაიონში დაბა ბაღდათს ახლო: ქარხნისათვის ნედლეულის მისაწოდებლად გაკეთებულ იქნება ჰაერში დაკიდული კანატის ხიდი.

მესამე ქარხანა, რომელიც დაამზადებს მილიონ კუბიკურ ფუტს ხეტყეს, აგებული იქნება ფოთში და დაამუშავებს მხოლოდ ფოთის რაიონის ფოთლოვანი ხე-ტყის მასალას.

ახალი ქარხნის აგება განზრახულია კიდევ ბორჯომში, სადაც ქარხანას ექნება სხვა დანიშნულება. ქარხანა აიგება ხის გამოსახდელად.

საგზაო მშენებლობა

საქართველოს სამხედრო გზატკეცილი.

საქართველოს გზატკეცილების სამმართველო ამ ჟამად აწარმოებს ყველა რესპუბლიკანური და ფედერატიული მნიშვნელობის გზატკეცილების შეკეთებას.

სრულიად აღდგენილია საქართველოს სამხედრო გზატკეცილი, იმ ადგილების გამოკლებით, რომელიც დააზიანა მთიდან ჩამოშვებულმა თოვლის და მიწის ზვავებმა. ამ ჟამად გზატკეცილზე სწარმოებს დიდი საავტომობილო მოძრაობა.

ოსეთის სამხედრო გზატკეცილი.

ოსეთის სამხედრო გზატკეცილს, რომელიც მიიმართება ქუთაისიდან კავკავამდე დაბა-ლეჩხუმზე, გასულ წელს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. ამ ჟამად სწარმოებს გზის გასუფთავება იმ ნალექებისაგან, რომელიც გაზაფხულის ნიაღვრებმა დასტოვეს. გზაზე გაცხოველებული მოძრაობაა ავტომობილებისა და დილიჟენების.

აჭარისტანის გზატკეცილები.

გასულ წელს აჭარისტანში დაწყებულ იქნა ადგილობრივ მცხოვრებთა თაოსნობით 10 გზატკეცილის გაყვანა. ამ საგზატკეცილოდან წელს დამთავრებული იქნება 6 გზატკეცილი, რომელთა საერთო სიგრძე რამოდენიმე 100 ვერსს უდრის. ამ გზატკეცილების ნაწილი დამთავრდება პირველი ივლისისათვის, ნაწილი კი ნოემბრისათვის.

ივლისის დამდეგისათვის სავსებით დასრულებული იქნება ქედის ხიდის აგება, ხოლო პირველი ნოემბრისათვის დასრულდება შუახევის ხიდი.

გარდა ამისა, ამ ზაფხულზე დაიწყება ორი ახალი დიდი ხიდის აგება სხალთის გზაზე: ერთი ხიდი გაიდება მდ. აჭარის წყალზე (სოფელ ფურტიოსთან) ბათომიდან 75 ვერსის დაშორებით, მეორე მდ. სხალთიზე სხალთის გზატკეცილის მე-4 ვერსზე—ორივე ხიდს ადგილობრივ მცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისე, როგორც სხალთის გზატკეცილს, რომელიც აჭარისტანის სოფლებს სარიჩაირის მდიდარ საძოვრებთან აერთებს.

კოოპერაცია

წყალტუბოს თემის კოოპერატივი

1923 წლამდი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა წყალტუბოს თემის გლეხობა. კოოპერატივი არ არსებობდა და ოჯახისათვის საჭირო უბრალო ნივთის შესაძენათ გლეხი ქუთაისისაკენ უნდა გასდგომოდა გზას. საყიდელიც კი არ ჰქონდა იმდენი, რამდენიც გზაში სამიკიტნოებში შემოეხარჯებოდა.

1923 წ. გაზაფხულზე ადგილობრივი ამხანაგების ინიციატივით და ცეკავშირის დახმარებით დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება.

პირველათ გლეხები უნდობლათ უყურებდენ ამ საქმის დაწყებას, გაურბოდენ კოოპერატივში წევრათ ჩაწერას. ეს იმით აიხსნება, რომ მენშევიკების დროსაც არსებობდა კოოპერატივი, მაგრამ მისმა ხელმძღვანელებმა „ყლაპი“ უქნეს ხალხის ქონებას. თუ კარგ საქონელს მიიღებდენ, პირველ რიგში გამგეობის წევრები ირიგებდენ. გლეხებს ეს მოვლენა დარჩა მეხსიერებაში. დიდი აგიტაცია - პროპაგანდის შემდეგ ძლივს მოხერხდა გლეხების ჩაბმა კოოპერაციაში.

მაგრამ წყალტუბოს „ეპომ“ მალე მოიპოვა გლეხობის ნდობა. მიაწოდა გლეხებს ხელმისაწვდომ ფასებში პირველი საჭიროების საგნები: ნავთი, საპონი, წუმწუმა, მანუფაქტურა და სხვა.

დღეს „ეპოს“ უკვე 700 წევრი

წევრების რიცხვის ზრდასთან ერთად „ეპოს“ განყოფილებათა რიცხვიც გაიზარდა. დღემდის გახსნილია 6 განყოფილება შემდეგ სოფლებში: გვიშტიბში, გუბისწყალზე, 1-ლ წყალტუბოში, გვიმრაში, ჩუმეში, ქვილიშორში და მეშვიდე—ხოგულში. განყოფილებები მოთავსებულია საკუთარ შენობებში.

ცენტრში, წყალტუბოში, საწყობებისათვის და სავაჭროსათვის არ იყო ხეირიანი შენობა, ამიტომ გლეხებმა ცეკავშირის დახმარებით ააგეს ორსართულიანი შენობა. ქვემოსართულში მოწყობილია: სასადილო, სავაჭრო, საწყობი; ზემოსართულში კი მოეწყობა ბინა მოაგარაკეთათვის.

მაგრამ მარტო ამით არ უნდა შემოიფარგლოს „ეპოს“ მუშაობა. მან სავსებით უნდა დააკმაყოფილოს მცხოვრებთა მთელი მოთხოვნილება და ამავე დროს სრულიად უნდა გაუსაღოს (იმავ მცხოვრებლებს) მთელი ნაწარმოები: ხილეულობა. ბამბა, კვერცხი და სხვა საქონელი, ხოლო აგრეთვე უნდა ჩაიგდოს ხელში და იკისროს მთელი —აგარაკზე მომსვლელთა დაკმაყოფილება საჭირო სურსათ-სანოვაგის მიწოდებით.

ამიტომ საჭიროა მისთვის დახმარების აღმოჩენა, როგორც გრძელვადიან სესხით, ისე საქონლით.

„კომუნისტი“
ერთი თვით: პროფკავშირების წევრებისათვ. 75 კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში 1 მანეთი
პროვინციაში—1 მ. 20 კაპ.
ხელის მოწერა
ივნისისათვის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათს, 4 ივნისს, საღამოს 7 ს. დანიშნულია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ცაკის მდივანი ხ. თოდრია.

ივნისის პირველ რიცხვებში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი“
ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო
სარედაქციო კოლეგიაში შედიან: 1) ლ. ქართველიშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), 2) მ. ორახელაშვილი, 3) მახარაძე 4) გ ბახტაძე, 5) მ. მუზიშვილი
ჟურნალში უმთავრესად გაშუქებული იქნება სოფლად პარტიული მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები.
ჟურნალი ღირება ერთი თვით 20 კაპ. ერთი წლით 2 მან. ცალკე ნომერი 20 კ. ხელის მოწერა მიიღება გაზ. „ახალი სოფელი“-ს კანტორაში, ვოლოდ. ქ. № 13.
რედაქციის მისამართი: ს. კ. პ. ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.
ნ. 1227—3—2

პარტიული ცხოვრება

პარტიის ყოველი წევრი უნდა გახდეს კოოპერატივის წევრი

კოოპერაციას ჩვენში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაკისრებული. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენი პარტია გაძლიერებული ენერგიით შეუდგა ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობას, კოოპერატიულ მოძრაობის გაფართოებას უდიდესი ყურადღება ექცეოდა და ექცევა.

კოოპერაცია ერთად-ერთი მასიური ორგანიზაციაა მუშათა და გლეხთა მასების გასაერთიანებლად.

თანამედროვე პირობებში, როცა სოფლისა და ქალაქის დაახლოვებას უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მშრომელთა დიქტატურის კიდევ უფრო გასაძლიერებლათ,—კოოპერაციის როლი განსაკუთრებითი მნიშვნელობის მქონეა, რადგან იგი პრაქტიკულად ახორციელებს სოფლისა და ქალაქის დაახლოვებას. ქალაქის ნაწარმოების სოფლის მოსახლეობისათვის ხელსაყრელ ფასებში მიწოდება და სოფლიდან ნედლი მასალის შესყიდვა ქალაქის მრეწველობისათვის,—აი ის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ გაჯანსაღებას.

დღეს, როდესაც სოფლად ახალი ეკონომიური პოლიტიკა თანდათანობით ძლიერდება და ჩვენ მოწამე ვხდებით სოფლის ბურჟუაზიის აღორძინების, კოოპერაცია ერთად-ერთი იარაღია სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად იმდენად, რამდენადაც კოოპერატივით ჩვენ შეგვიძლია სოფლის ღარიბი მოსახლეობის კოლექტიურად გაერთიანება, მშრომელი გლეხობის ერთ სამეურნეო ფრონტზე დარაზმვა.

რამდენად უფრო ადრე და უფრო ფართოდ გავაერთიანებთ სოფლის გლეხობას კოოპერაციაში, იმდენად უფრო შორს შევიჭრებით სოციალისტურ აღმშენებლობაში.

მაგრამ აქ ერთი დაბრკოლება წინ გვეღობება: ეს არის გლეხობის კულტურული ჩამორჩენილობა, რომელიც ხელს უშლის მას გაერკვეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას არა თუ დღეს, არამედ რისი მიცემა შეუძლია მას ხვალ.

ამხ. ლენინი თავის ცნობილ წიგნაკში „კოოპერაციის შესახებ“ მოითხოვდა ყველასაგან არა პასიურ, არამედ აქტიურ მონაწილეობას კოოპერაციაში, რადგან მოსახლეობის აქტიური დამოკიდებულების გარეშე კოოპერაცია ვერ შეძლებს გაძლიერდეს და თავისი დანიშნულება შეასრულოს.

კოოპერაციაში აქტიური მუშაობის მაგალითის მაჩვენებელი ისევ ჩვენი პარტიული ამხანაგები უნდა შეიქნენ. მორიგი ლოზუნგი უნდა გახდეს: „არც ერთი პარტიის წევრი კოოპერაციის გარეშე არ უნდა დარჩეს“.

ა. კ.

საექსკურსიო მუშაობა კომკავშირში

კომკავშირის საზაფხულო პერიოდში მუშაობის მთავარი დამახასიათებელი ელემენტი—ექსკურსიაა. ზაფხული საშუალებას იძლევა კომკავშირის სოფლის ან ქალაქის უჯრედები დაუახლოვდენ, გაეცნონ მათ გარეშე მდებარე ღირსშესანიშნავ ადგილებს. **ექსკურსია აღმშენებლობითი მუშაობის ჰაერზე გადატანაა** ამიტომ მისი შინაარსიანი და ორგანიზაციული ჩატარება მთავარი ამოცანა უნდა გახდეს კომკავშირისათვის.

მთელი რიგი გამოცდილებისა გვიჩვენებს, რომ ზაფხულში განსაკუთრებით ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ეკიდება ექსკურსიებს. მაგრამ მისი მკვიდრ ნიადაგზე დაყენება გასულ წელს ჩვენ ვერ შევძელით. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ზაფხულში დიდი დენა იყო ექსკურსანტების ქალაქიდან სოფლად, სოფლიდან ქალაქში და სხვა ეკონომიური და კულტურული ხასიათის ადგილებზე, მაგრამ ის არ იყო დამაკმაყოფილებელი—ექსკურსიებს აკლდათ შინაარსიანობა და ორგანიზაციულობა.

სად და როგორ უნდა მოეწყოს ექსკურსიები? ქალაქის ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ ექსკურსიების მოწყობა სხვადასხვა ქალაქებში ან ისტორიული მნიშვნელობის მქონე ადგილებში უნდა ხდებოდეს **სოფლად, მათი ეკონომიური, კულტურული ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.** სოფლიდან ქალაქებში კი ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების და კულტურული დაწესებულებების შესწავლის მიზნით.

სოფლის უჯრედები ექსკურსიებს აწყობენ აგრეთვე მახლობელ სოფლებში, რომლებიც ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებული არიან. სამეურნეო ხასიათის მქონე ადგილებში (ბაღებში, საცდელ მინდვრებში, ტყეებში და სხვა).

ასე რომ ექსკურსიას უნდა მიეცეს ღრმა აღმზრდელობითი ხასიათი. ეს ნიშნავს: **ქალაქის და სოფლის ახალგაზრდობის დაკვირვებითი გაცნობა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მამოძრავებელი ძალების და მათი მნიშვნელობის შესწავლა საბჭოთა ქვეყნის საერთო შენების საქმეში.**

საექსკურსიო მუშაობის პრაქტიკაში ხშირი იყო და არის მოვლენები, როდესაც ექსკურსია მიემგზავრება—ისტორიული ხასიათის ადგილებზე ანდა წარმოებების დასათვალიერებლად ისე, რომ მას არ მიჰყვება ხელმძღვანელი, რომელიც განუმარტავს ექსკურსანტებს ამა თუ იმ ადგილის მნიშვნელობას. ეს გარემოება იწვევს უარყოფითი შედეგებს: დროის დაკარგვა, არაორგანიზაციულობა, უწესოება, უდიერი მოქცევა ექსკურსანტების და სხვა. ამიტომ საჭიროა ექსკურსიის დროს გამოყენებული იქნას მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ტეხნიკები, ინჟინრები და სხვა იმისდამიხედვით, თუ სად იმართება ექსკურსია.

ექსკურსიების ორგანიზაციული მოწყობისათვის განსაკუთრებით სოფლად პარტიის, კომკავშირის უჯრედებთან უნდა მოეწყოს საექსკურსიო კომისიები, რომლებშიაც შევლენ აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების, გლეხკომების და განათლების მუშაკთა კავშირის უჯრედის წარმომადგენლები.

ქალაქად ეს მუშაობა უნდა იკისრონ პროფკავშირებმა და პოლიტგანათლების განყოფილებებმა.

ამრიგად მწყობრი და შინაარსიანი ხასიათის ექსკურსიების მოწყობა საზაფხულო პერიოდში უნდა გახდეს მთავარ საზრუნავ საგნად.

ა—კი.

მეტი ყურადღება ქალთა შორის მუშაობას

(დ. ჩხარი)

1921 წლიდან ჩხარის რაი-პარტკომთან არსებობს ქალთა წრე, რომლის მუშაობა დღესაც საგრძნობლად მოისუსტებს. უმთავრესი მიზეზი კი ამისა არის ხელმძღვანელის უყოლობა—თუმცა მართალია რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. კაკაბაძე ყოველგვარ ღონეს ხმარობს თვით გაუძღვეს ქალთა წრის მეცადინეობას, მაგრამ ჯერ ისედაც მრავალი სამუშაოებით დატვირთულს მას ვერ ძალუძს სათანადო ხელმძღვანე-

ამ ერთი კვირის წინ ჩხარში ჩამოვიდა შორაპნის სამაზრო ქალთა განყოფილების გამგე, რომელსაც ერთი კრებაც კი არ მოუწვევია, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქალთა წრის წევრთა შორის. ცხადია ასეთ მოვლენებს შემდეგისათვის არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

საჭიროა ქალთა საქმეს ჩხარში მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის ახალგ. ორგან. თვითლიკვიდაცია

კიდევ ერთი სალიკვიდაციო კრება

31 მაისს დაამთავრა თავისი მუშაობა საქართველოს ყოფილ გაერთიანებულ დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდა წევრთა ორგანიზაციის კონფერენციამ.

ამ პარტიის უმრავლესობას შეადგენდნენ: სტუდენტობა და მოსწავლე ახალგაზრდობა საშუალო სასწავლებლებიდან. ყველასათვის ცნობილია, რომ ეროვნულ დემოკრატებს და ეროვნულ რადიკალებს (რომლებიდანაც წარმოიშვა გაერთიანებული დემოკრატიული პარტია) არასოდეს არ ჰქონიათ ფესვები საქართველოს მშრომელთა მასაში. მაგრამ პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებული არ არის იმ ორგანიზაციის თვითლიკვიდაცია, რომელმაც ითამაშა არა უკანასკნელი როლი აგვისტოში მენშევიკების ავანტიურის დროს.

ამ ავანტიურის შემდეგ, როგორც ცნობილია, დადგა პოლიტიკურ გამოფხიზლების ხანა და ყველას ახსოვს, როგორი სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მან კონტრრევოლიუციონურ პარტიებს, კერძოთ მენშევიკებს, ე. ი. იმ პარტიას, რომელიც ათეული წლობით ზომავდა თავის ბატონობას საქართველოში. ყველას ახსოვს, რომ მენშევიკების ავანტიურის შედეგათ მათ რიგებში კიდევ დარჩენილმა მუშებმა ზურგი აქციეს თავიანთ ლიდერებს, ე. ი. იმათ, რომლებიც სხედან პარიზში და იქიდან ხელმძღვანელობენ „საქართველოს დემოკრატიას" საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მენშევიკების პარტია და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია დაიშალა და მათი საუკეთესო ნაწილი გადაჭრით დადგა საბჭოთა პლატფორმაზე. ისეთი გაუსწორებელი, შეურიგებელი ნაციონალისტიც კი, როგორც ვეშაპელი, იმანაც კი სცნო, რომ ქართული ერის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის და განვითარების პირობებში.

ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ ქართველ ახალგაზრდობის იმ ნაწილმაც, რომელიც მისდევდა ეროვნულ დემოკრატებს, ზურგი აქცია წარსულს და დადგა საბჭოთა პლატფორმაზე.

გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდა წევრთა ორგანიზაციამ თავის კონფერენციაზე უსასტიკეს კრიტიკაში გაატარა თავისი ძველი პოლიტიკური ხაზი, რომელმაც დააყენა ქართველი ერი ფიზიკურ განადგურების საშიშროების წინაშე (ასე ამბობს კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია) და უარჰყო იგი. კონფერენცია გადაჭრით დადგა საბჭოთა პლატფორმაზე და აქეთკენ მოუწოდებს ყველა პატიოსან ქართველს, რომლებიც დღემდე სიტყვით თუ საქმით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

კონფერენციის მუშაობაში მთავარი ადგილი ეკავა ორ საკითხს:

1) წარსული მუშაობის შეფასება.

2) ნაციონალური საკითხი ქართველი ერის პერსპექტივების თვალსაზრისით.

პირველ კითხვაში კონფერენციამ გადაჭრით დაჰგმო ძველი ხაზი და მეორეს შესახებ—გადასწყვიტა, რომ ნაციონალური, ეკონომიური, პოლიტიკური და სხვა აღორძინება საქართველოსი შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში.

ასეთი შეფასებიდან კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი დასკვნა: გამოაცხადა მთელი ორგანიზაცია დაშლილად და არ არსებულად, და მოუწოდა ყველას დასდგენ საბჭოთა პლატფორმაზე.

უსურვოთ მათ ახალგაზრდული ენერგიით მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების განვითარების და განმტკიცებისათვის.

გ. სტურუა.

პირველი სხდომა

30 მაისს, აღმასკომის დარბაზში გაიხსნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონფერენცია.

კრება დაიწყო დღის 1 საათზე. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი სამი კაცისაგან: **წულუკიძე, გონიაშვილი და ერისთავი.**

თავმჯდომარე **წულუკიძემ** მოკლე სიტყვაში გაცნო დელეგატებს კონფერენციის დანიშნულება და მიზანი.

პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქ. კომკავშირის ცეკას სახელით ამხ. **კეჭელიამ.**

მან აღნიშნა, რომ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებმა საბჭოთა ხელისუფლებიდან განზე გადგომილთ ჩვენს ქვეყანას კი არ მოუტანეს რამე, არამედ უფრო შეაფერხეს მისი კულტურულ-ეკონომიური წარმატება. აგვისტოს გამოსვლები ხომ ისეთი შეუწყნარებელი ღალატი იყო მთელი ქართველი ხალხის წინაშე, რომ მას არას დროს არ დაივიწყებს მომავალი თაობა.

თუმცა ყველაზე გვიან, მაგრამ ბოლოს მაინც ეროვნულ-დემოკრატმა ახალგაზრდებმაც გაიგეს, რომ საქართველოს ყოველმხრივი აღორძინება და წარმატება შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების გარეშე. მხოლოდ ეს გულწრფელი განცხადება არ უნდა დარჩეს ცარიელ სიტყვათ, არამედ უნდა გამოიხატოს ყველა ფრონტზე აქტიურ თანამშრომლობაში მუშურ-გლეხურ მთავრობასთან.

„მუშათა კომისიის" სახელით ილაპარაკა ძველმა მუშა—**კუპრაშვილმა.**

ეროვნულ-დემოკრატების ასეთი ნაბიჯი მასაც დროულათ მიაჩნია და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას შემდეგისათვის.

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კვატაშიძემ.**

შემდეგ დეკლარატიული ხასიათის სიტყვები წარმოსთქვეს კონფერენციის დელეგატებმა მოქ. **ბეჟუაშვილმა და მესხმა.**

ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა წყობილება საკმაოთ განმტკიცდა. ამასთანავე მან გამოიჩინა უდიდესი უნარი ჩვენი ქვეყნის აყვავება-წარმატებისათვის. ამიტომ საქართველოს ყველა მომქმედი ძალები უნდა შემოკრბენ არსებულ ხელისუფლების გარშემო და იმოღვაწეონ გულწრფელათ ჩვენი საერთო კეთილდღეობის ასამაღლებლათ.

საქ. კომპარტიის ცეკას სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. **გ. სტურუა.**

მან ის აზრი გაატარა, რომ არ კმარა მარტო გულწრფელი სიტყვიერი შერიგება და შეთვისება საბჭოთა ხელისუფლების. საჭიროა, ამას მოჰყვეს შესაფერი პრაქტიკული შედეგებიც. და ასეც უნდა მოიქცეს ყველა ის მოქალაქე, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა და ეინტერესება მისი ყოველმხრივი წარმატება. საქ. კომპარტია ყოველთვის ხელის შემწყობი იქნება იმისი, რომ ჩვენი ქვეყნის მომქმედი ძალები, რაც შეიძლება საუკეთესოდ იქნენ გამოყენებული ჩვენი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მეორე სხდომა

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდობის სალიკვიდაციო ბიუროს მუშაობა

მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატთა ორგანიზაციის სალიკვიდაციო ბიუროს მუშაობის შესახებ.

ბიურო დაარსდა გასული წლის დეკემბერში გამასწორებელ სახლებში მოთავსებულ ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატთა განთავისუფლების შემდეგ. ამ ხანებში მოხდა სრული გარდატეხა ერ. დემ. ახალგაზრდობაში საბჭოთა წყობილების სასარგებლოდ. ორგანიზაციის იმ წევრებმა, რომელნიც აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობდენ, სრულიად გულწრფელად აღიარეს თავიანთი შეცდომები მათ მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში, სადაც მათ გამოსთქვეს სურვილი ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობისა.

შემდეგ მოწვეული იქნა თბილისის საქალაქო კრება, რომელმაც ბიუროს ხელახალი არჩევის შემდეგ, დაავალა ამ უკანასკნელს ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატთა სრ. საქართველოს კონფერენციის მოწვევა.

მესამე სხდომა

პოლიტიკური მომენტი და ჩვენი ამოცანები

(მომხსენ. ნ. დგებუაძე)

უკანასკნელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ნ. დგებუაძემ შემდეგ თემაზე: **პოლიტიკური მომენტი და ჩვენი ამოცანები!** მომხსენებელი ვრცლად შეეხო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობას.

შეჩერდა რა ქართველი ახალგაზრდობის დღევანდელ ამოცანებზე, მომხსენებელმა განაცხადა:

— ამ რამოდენიმე ხნის წინად პარიზში შესდგა „საქართველოს კოალიციონური მთავრობა". ჩვენი ვალია საქართველოში შევქმნათ საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა კოალიცია და იერიში მივიტანოთ უცხოეთში მოწყობილ კოალიციის წინააღმდეგ.

— დამოუკიდებლობა, რომელიც ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მთავარი ლოზუნგი იყო, სავსებით დაცულია საბჭოთა სისტემაში. ყოველი ქართველი უნდა ჩაებას იმ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს ამ ჟამად ხელისუფლება საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებისათვის.

კამათი

ამხ. დგებუაძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომლის დროსაც გამოირკვა კონფერენციაზე წარმოდგენილ ახალგაზრდობის სულიერი განწყობილება. — საბჭოთა ხელისუფლების 4 წლის არსებობამ საქართველოში,—აცხადებდენ ორატორები, დაგვარწმუნა, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების და განმტკიცებისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მხოლოდ საბჭოთა სისტემა. ამ აზრს იზიარებს მთელი ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობა, რასაც მოწმობს დღევანდელი კონფერენცია.

ეროვნული საკითხის შესახებ ორატორები შემდეგ აზრს გამოსთქვამდენ: კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებანი ეროვნულ საკითხში იდეალია ყოველი საღად მოაზროვნე ქართველისათვის. საბჭოთა ხელისუფლება თანდათანობით და შეძლების დაგვარად ატარებს მათ, მაგრამ აქა-იქ მაინც არის ნაკლი და ჩვენი ვალია ყოველი ღონისძიებით ხელი შეუწყოთ მე-12 ყრილობის დადგენილებათა სავსებით გატარებას ცხოვრებაში.

ზოგიერთი ორატორის აზრით, გადაუჭრელია აგრეთვე საკითხი ქართველი **ინტელიგენციის** შესახებ, რომლის ნაწილიც უმუშევრობას განიცდის. ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორების შემდეგ,—გამოსთქვამდენ ორატორები,—კიდევ უფრო წინ წავა გასაბჭოების დროიდან დაწყებულ საქართველოს კულტურული და ეკონომიური აღორძინება.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. გ. სტურუამ, რომელმაც ციფრებით დაასურათა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები საქართველოში.

ამხ. დგებუაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია.

რეზოლიუცია

გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდათა სრ. საქართველოს კონფერენციამ, მოისმინა რა ამხ. ნ. დგებუაძის მოხსენება და გაითვალისწინა რა, რომ უკანასკნელ ხნის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ მეტად ადასტურებს ჩვენი ახალგაზრდობის მიერ გადადგმულ პოლიტიკური ნაბიჯის სისწორეს, სავსებით იზიარებს მის მიერ გამოქვეყნებულ რეზოლიუციას, თბილისის ორგანიზაციათა წევრთა საერთო კრების რეზოლიუციას და ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ ქართველი ახალგაზრდობისა და ქართველი ერისათვის ერთად-ერთი მისაღები გზაა—საბჭოთა მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობა და ხელის შეწყობა იმ მუშაობისათვის, რომელიც ამ მთავრობის მეთაურობით სწარმოებს.

დასასრულ კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქართველოს კომ. პარტიის ცეკას და ახ. კომ. კავშირის ცეკას.

ელექტრონის რკინის გზა თბილისიდან კოჯორამდე

5 ივნისს თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების კოლეგია საბოლოოდ გადასწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ რომელ მიმართულებით უნდა იქნეს გაყვანილი ელექტრონის რკინის გზა თბილისიდან კოჯრამდე.

წარმოდგენილია გზის გაყვანის სამი ვარიანტი.

პირველი ვარიანტის მიხედვით სადგური უნდა იქნეს ორთაჭალაში. აქედან რკინის გზა გადის მცირედ დასახლებულ რაიონებში თბილისიდან კოჯრამდე, ასე რომ გზა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ საზაფხულო მიმოსვლისათვის.

მეორე ვარიანტის მიხედვით გზა მიდის ვაკეს რაიონიდან მამადავითის მთის ფერდობით დასავლეთისაკენ, შემდეგ ერთბაშად უხვევს აღმოსავლეთისაკენ სოფელ ოქროყანისაკენ, რომელსაც უახლოვდება 8 ვერსზე. აქედან გზა უხვევს დასავლეთით წყნეთის მხარეზე. შემდეგ გზა გაივლის კოჯორის გორების ძირში და შედის სოფ. კოჯორის ცენტრში.

მესამე ვარიანტი: გზა ვაკედან სოფელ წყნეთამდე მიდის მამადავითის მთის ფერდობზე, გადასჭრის ხრამებს პატარ-პატარა ხიდების საშუალებით. მეშვიდე ვერსზე, უშუალოდ სოფელში, ეწყობა წყნეთის სადგური. აქედან გზა მიდის მდინარე ვერის მახლობლად, მოუვლის საგარაკო რაიონს ახალ-დაბას და მე-15-ე ვერსზე უსწორდება კოჯორ მანგლისის გზატკეცილს. აქ ნახევარი ვერსის მანძილზე უნდა მოეწყოს სადგური საგარაკო რაიონში, კიკეთში, საიდანაც გზა 19 ვერსის შემდეგ შედის კოჯორში მანგლისის მხრით.

უნდა ითქვას, რომ პირველი ორი ვარიანტი საჭიროებს უფრო ნაკლებ საამშენებლო მასალებს და ხარჯებსაც, ვიდრე უკანასკნელი, მაგრამ მესამე უფრო ხელსაყრელია როგორც ექსპლოატაციის, ისე კომერციული მხრით, რადგან გზა უშუალოდ ადგება მნიშვნელოვან სოფელს. წყნეთს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ისარგებლებს გზით. ამას გარდა გზა გაუვლის სოფელ კიკეთს, რომელიც არაფრით არ ჩამორჩება კოჯორს, როგორც აგარაკი. ამას გარდა ამ ვარიანტს აქვს კიდევ ერთი უპირატესობა: მომავალში ძალიან ადვილი იქნება ელექტრონის გზის გაგრძელება მანგლისის მხრით.

გზის სრული ღირებულება ყველა ვარიანტის მიხედვით უნდა იქნეს ზომიერი, ყოველ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 70—75 ათას მანეთს ვერსზე.

გზის გაყვანა პირველი ვარიანტის მიხედვით (ორთაჭალა-კოჯორი) დაჯდება 1,595,000 მანეთი, მეორე ვარიანტით (ვაკე-კოჯორი)—1,895,000 მანეთი, ხოლო მესამე ვარიანტით, რომელსაც უეჭველად უპირატესობა მიეცემა,—2,115,000 მანეთი.

თუ უკანასკნელი ვარიანტის მიხედვით იქნა გზა გაყვანილი, ელექტრონის გზა ყოველწლიურად შემოიტანს 7 პროცენტს მთელ დახარჯულ კაპიტალზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი პროცენტია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს წარმოადგენს წმინდა შემოსავალს ხარჯების დაფარვის შემდეგ.

ახალი ბაღი

თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების კოლეგიამ დაადგინა აიღოს შენობები ორ ნაჭერ მიწაზე, რომელიც მდებარეობს „გოგილოს" აბანოს მახლობლად მე-6-ე რაიონში. ამ მიწაზე ამჟამად აგებულია დროებითი ფიცრული შენობები მასალების საწყობებისათვის. ეს შენობები ძალიან აუშნოებს ახლო მდებარე უბანს.

კომუნალური მეურნეობის განყოფილების კოლეგია მიზანშეწონილად სთვლის აიღოს ეს შენობები და ამ ადგილას გააშენოს ბაღი. ამ მიწების პატრონებს მიეცემათ სამაგიერო ადგილები ნავთლუღის გზაზე.

ქრონიკა

— **ძვირფასი ჯიშის ხეების დაცვა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება იმუშავებს გეგმას ძვირფასი ჯიშის ხეების დასაცავათ.

— **საქონლის ძოვება.** სატყეო განყოფილებამ გადასწყვიტა საბოლოოდ მოაწესრიგოს ტყეებში საქონლის ძოვების საკითხი.

— **საქონლის ჭირი.** საბეითლო განყოფილების ცნობით სოფ. ფიჩხოვანსა და ვარდისუბანში (თელავის მაზრა) თავი უჩენია საქონლის ჭირს, რომელიც საშიშ სახეს ღებულობს. მიღებულია სასწრაფო ზომები მის მოსასპობათ.

— **სასოფლო-სამეურნეო სკოლების** შესანახად მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა გადასდო 16,560 მან.

— **საწარმოო არტელი.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა დასახიჩრებულთა არტელი „რაჭა". არტელს გახსნილი აქვს ფურნე.

— **ბოსტანი.** დასახიჩრებულთა მესამე სახლში საკუთარ ძალებით გააშენეს ბაღ-ბოსტანი, შემოსავალი მოხმარდება სახლის გაუმჯობესებას.

— **გლეხთა გაზეთი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გლეხკომების ცენტრ. კომიტეტის კედლის გაზეთი: „გლეხთა საურთიერთო დახმარება".

— **მუშა-ხელის გაგზავნა.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შრომის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა პროფკავშირებმა საბოლოოდ შესწყვიტონ წარმოებებში შრომის ბირჟით მუშახელის გაგზავნა.

— **შრომის ბირჟის** კომიტეტმა დაადგინა მოზარდთა სექციიდან სათანადო სექციებში გადაიყვანონ ის [illegible] უმუშევრები, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი.

— **უმუშევართა სახლი.** შრომის ბირჟის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა თბ. აღმასკომის წინაშე უმუშევართა სახლის მოსაწყობათ შესაფერი შენობის დათმობის შესახებ.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** შაბათს, ივნისის 6-ს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში (კალოუბნის ქუჩა, № 1) მოხდება საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფ. კ. კეკელიძე წაიკითხავს მოხსენებას — „ხოსროვ-შირიანის ქართული ვერსია". ამ კრებაზე დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიანთ. შემდეგ გაიხსნება საზოგადოების წევრთა არაჩვეულებრივი კრება, რომლის საგანია: ა) „საზოგადოების განყოფილების გახსნა ახალციხეში: ბ) ახალ წევრთა არჩევა; გ) საზოგადოების საბჭოსი, საარქეოლოგიო სექციის და სარევიზიო კომისიის წევრთა ხელახალი არჩევანი.

— **საქართველოს გეოგრაფიულ საზ-ბაში.** ხუთშაბათს, 4 ივნისს, საღ. 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (კალოუბნის ქ. № 1). შესდგება საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბის მორიგი სხდომა, რომელზედაც რუსეთის გეოლოგიური კომიტეტის უფროსი გეოლოგი ვ. პ. რენგარტენი წაიკითხავს მოხსენებას: „ახალი მასალები საქართველოს გეოლოგიისათვის" (საქართველოს სამხედრო გზის რაიონი). კრებაზე დასწრება არა წევრებსაც შეუძლიანთ.

— **იურიდიულ საზოგადოებაში.** საღამოს 7 ნახ. საათზე საზოგადოების მორიგ კრებაზე დამცველთა კოლეგიის წევრი ამხ. კ. მიქელაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მარქსისტული გაგება სამართლისა".

ვაგონები საგზაო კომიტეტს

ა. კ. რკ. გზ. სამმართველომ ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტს საზაფხულოდ მისცა 5 ვაგონი ექსკურსიების მოსაწყობად. 3 ვაგონი მოხმარდება ექსკურსიებს ა. კ. რკ. გზ. ხაზის ფარგლებში, ხოლო 2 ვაგონი მოხმარდება ექსკურსიებს საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისაკენ.

40 შეიარაღებული ბანდიტი დანებდა მთავრობას

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, დაწყებული ცარიზმის ეპოქიდან საქართველოს გასაბჭოებამდე, ბორჩალოს, ლორ-ბამბაკის და სხვა მახლობელ რაიონებში მოქმედობდა ბანდიტების მთელი რიგი მრავალრიცხოვანი და კარგათ შეიარაღებული „შაიკები". ეს „შაიკები" დროგამოშვებით ახდენდენ შეიარაღებულ თავდასხმას და მკვლელობას, რის შემდეგაც მიდიოდენ ტყეში და იქ რჩებოდენ იმ დრომდე, სანამ არ გამოელეოდათ მარაგი, და შემდეგ ისევ ხელახლა გამოდიოდენ „სამუშაოთ".

გარდა სისხლის სამართლის ბანდიტებისა, რომლებიც მხოლოდ ძარცვა-გლეჯას ეწეოდენ, ამ რაიონში მოქმედობდა აგრეთვე პოლიტიკური ბანდიტების მცირე ჯგუფი, რომელიც კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას აწარმოებდა, ხელს უშლიდა სასურსათო გადასახადის აკრეფას და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი დროის განმავლობაში ყოველგვარ ძარცვა-გლეჯას ახდენდა ბანდიტთა 6 „შაიკა", რომელთაც ცოტა რამ ჰქონდათ საერთო ერთმანეთთან. სულ ამ „შაიკებში" ითვლებოდა 35—40 ბანდიტი. თვითეულ „შაიკას" ჰყავდა თავისი წინამძღოლი—ბელადი, რომლის მოქმედებას და განკარგულებებს უსიტყვოთ ემორჩილებოდენ „შაიკის" ყველა წევრები.

აი მეთაურების გვარები:

აჯი ხალილ ბაირამოვი, ცნობილი ბანდიტი ბორჩალოს მაზრაში. ბანდების გამოჩენილი ორგანიზატორი, რომელიც რამოდენიმეჯერ გაიქცა სატუსაღოდან. ის 50 წლისაა. მის ბანდაში ითვლებოდა 6 კარგათ შეიარაღებული ბანდიტი.

ისკანდერ ალა კასუმოვი—„დიკაია" დივიზიის ყოფ. ოფიცერი, ბაირამოვის კარგი მეგობარი. მის ბანდაში ითვლებოდა 7 კაცი.

ძმები სარატიკოვები (4 ძმა)—მათი ბანდა, 9 კაცისაგან შემდგარი, ეწეოდა კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას, სომხეთის მოსახლეობას მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ხელს უშლიდა სასურსათო გადასახადის აკრეფას და სხვა.

იუნუს შირინ ოღლი—ყარაიას რაიონის ბანდა (4 კაცი), ეწეოდა ძარცვა-გლეჯას.

მამედ გეუბ ოღლი—ძველი ბანდა ბორჩალოს და ალბულაღის რაიონში (5 კაცი), ეწეოდა ძარცვა-გლეჯას.

უმედ ალი ოღლი სირვანსკი—ბანდა (5 კაცი) უმთავრესათ ეწეოდა მსხვილფეხა საქონლის მოტაცებას.

ზემოაღნიშნული ბანდების მოქმედება დიდ ზარალს აყენებდა როგორც ცალკე მცხოვრებლებს, ისე მთელ სოფლებს და რაიონებს.

რამოდენიმე ხნის წინათ ყველა ეს ბანდიტები, რიცხვით 40 კაცი, თავთავიანთი ბელადებით და აჯი ხალილ ბაირამოვის მეთაურობით გამოცხადდენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ითხოვეს პატიება. ამასთანავე მათ ფიცი დასდეს, რომ ამიერიდან არასოდეს აღარ მოკიდებენ ხელს ბანდიტიზმს. საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო ისინი და სათანადო დახმარება გაუწია მათ.

ყოფილი ბანდიტები ეხლა შეუდგენ მშვიდობიან შრომას.

ფიტო.

შემთხვევები

აფერისტების შეპყრობა

— 30 მაისს თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში კანცელიარიის უფროსთან გამოცხადდა თურქესტანის მსროლელ დივიზიის ცალკე ცხენოსან ესკადრონის ოცის თავის სახელით მოქ. ბროძენოვი, რომელმაც ითხოვა ავადმყოფობის გამო აღრიცხვაზე აყვანა და სამი თვის ჯამაგირის გამოწერა, რისთვისაც კანცელიარიის უფროსს წარუდგინა საბუთები. ვინაიდან კანცელიარიის უფროსის მიერ ყველა მის მიერ წარმოდგენილი საბუთები ცნობილი იქნა ყალბათ, ამისათვის სამხედრო კომისარიატმა დაუყოვნებლივ აცნობა საქ. საგანგებო კომისიის განსაკუთრებულ განყოფილებას, სადაც გადაიგზავნა მის პიროვნების გამოსარკვევად. აგრეთვე სამხ. კომისარიატში გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა მას მრავალი ყალბი საბუთები სხვადასხვა პირების სახელზე.

— **ყაჩაღების თარეში.** ალბულაღის რაიონში გახშირდა ძარცვა-გლეჯა. ამას წინად სოფ. ასტალახადან მათ წაიყვანეს 6 ცხენი და გაძარცვეს 5 კერძო ვაჭარი.

— **შეპყრობა.** 2 ივნისს ბავშვთა მეორე კერის გამგემ შეიპყრო ორი მცირეწლოვანი ქურდები დიაკოვი და სიდაროვი, ქურდობისათვის.

— **ჯიბგირობა.** 2 ივნისს ბზის მოედანზე ყარაიზელ გლეხს ჰასან ფურებადედ ოღლის ჯიბიდან ამოაცალეს 10 მან. ჯიბგირი მიკირტიჩა ლამბაროვი შეიპყრეს.

— **ქურდი მდგმური.** 2 ივნისს შეიპყრეს მოსესა ტერგუკასოვი, რომელმაც დაიქირავა სასტუმრო „პალასში" ოთახი და მეორე დღეს უნდოდა გაექურდა ის.

— **ქურდი ცოლი.** 2 ივნისს მოქ. რუბენ თამაზოვმა (ფოსტის ჩიხი № 25) მილიციაში წარმოადგინა თავისი ყოფილი ცოლი ნინა ბეგიაშვილი, რომელმაც თამაზოვს მოპარა 400 მან. ნივთები.

— **ქურდობა.** 30 მაისს მოსკოვის ქ. № 11 მოქ. ილია სულაძის ბინიდან წაიღეს 100 მანეთის ნივთები.

დამსახურებული პატივისცემა

ალექსანდრე მგელაძე

(მისი 40 წლის მასწავლებლობის იუბილეს გამო)

ძალიან ძნელია იმ მოვალეობის პირნათლად შესრულება, რომელიც სახალხო მასწავლებელს აწევს. სკოლისა და მომავალ თაობის დიდი საყვარული უნდა ღვივოდეს ადამიანის გულში, რომ მან შესძლოს დაუღალავი, სინდისიერი და ნაყოფიერი მუშაობა ამ დარგში რამოდენიმე ათეული წელი. იშვიათია ასეთი პიროვნება და ამ იშვიათ მასწავლებელთა შორის თითით საჩვენებელია ამხ. ალექსანდრე მგელაძე, რომელსაც მასწავლებლობის მძიმე უღელი 40 წელი უწევია.

ღარიბი ოჯახის შვილმა ალექსანდრემ წვითა და ვაი-ვაგლახით დაამთავრა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი, რის შემდეგ ის მიემგზავრება ხონის საოსტატო სემინარიაში პედაგოგიური განათლების მისაღებად, რომ შემდეგ ისევ თავის საყვარელ გურიას დაბრუნებოდა და მშრომელი ხალხისათვის მოეხმარა თავისი ცოდნა.

ალექსანდრე უკვე უკანასკნელ კლასშია და რამოდენიმე თვის შემდეგ უნდა აუსრულდეს დიდი ხნის წადილი, რომ ამ დროს სასტიკი რეჟიმით მოთმინება დაკარგული ალექსანდრეს ერთი ამხანაგთაგანი სცემს სემინარიის დირექტორს. ამის გამო ამ კლასის შეგირდების უმრავლესობას სემინარიიდან აძევებენ და გაძევებულთა რიცხვში ალექსანდრე მგელაძეც მოჰყვება.

ის მაინც არ ჰყრის ფარხმალს და აჯერხებს გორის საოსტატო სემინარიის იმავე კლასში შესვლას. სემინარიის დამთავრების შემდეგ 20 წლის ალექსანდრე იწყებს 1885 წ. მასწავლებლობას ს. დვაბზუში, საიდანაც 4 წლის შემდეგ ს. ხვარბეთში გადაჰყავთ, აქედან კი მის სოფ. ბახვში. გურიაში ალექსანდრე მუშაობდა სკოლის გარეშეც, რაც არ მოსწონდათ სკოლების მაშინდელ მესვეურთ და როგორც არასაიმედო—გაგზავნეს აჭარაში ს. ხულოში. დიდი ხანს არც ხულოში გაუჩერებიათ და იქიდანაც გამოაძევეს. და აი ალექსანდრე თავს აფარებს ბათომის ქართულ სკოლას 1903 წელს, რომელსაც ქ. შ. წ. გ. ს. ინახავდა. როგორც მასწავლებელს ალექსანდრეს ახასიათებს სწავლების არაჩვეულებრივი უნარი. ის ამ მხრივ ნამდვილი ხელოვანია.

მინდა მოვიგონო ერთი ფაქტი ალექსანდრეს ცხოვრებიდან, რომელიც საუცხოვოდ ახასიათებს მის სკოლისათვის თავდადებას. 1923 წელს მაისში მძიმედ ავადმყოფი ალექსანდრე დროებით იძულებულია საყვარელი სკოლა მიატოვოს და ოპერაციის გასაკეთებლათ საავადმყოფოში დაწვეს. იმ დროს, როდესაც მისთვის ოპერაცია უნდა გაეკეთებიათ, როცა მან არ იცოდა აიტანდა თუ არა შრომითა და მოხუცებულობით დაუძლურებული ორგანიზმი დოსტაქრის დანას, იბარებს მის დროებით მოადგილეს საავადმყოფოში და დარიგებას აძლევს, თუ რა უნდა გაკეთებულიყო სკოლაში იმ დღეებში. ჭეშმარიტათ დავიწყებული უნდა ჰქონდეს ადამიანს თავი და გაგიჟებით უნდა იყოს სხვა რამეთი გატაცებული, რომ ასეთ წუთებში მან თავის გადარჩენის გარდა სხვა რაიმეზე იფიქროს.

ასეთი უანგარო და თავდადებული მოღვაწეობისათვის მადლიერი აჭარისტანი ქ. ბათომში ა. წ. 7 ივნისს იუბილეს უმართავს. ალექსანდრე მგელაძე ღირსია ამ იუბილესი და ყოველი პატიოსანი ადამიანის, ყოველ ორგანოს, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ განათლების საქმესთან, მოვალეობაა გამოეხმაურონ ამ იუბილეს.

ვ. ფანცულაია.

40 წელი პედაგოგიურ ასპარეზზე

სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკიას იუბილე

სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკია დაიბადა ზუგდიდის მაზრის ს. ნოჯიხევში 1860 წ. 20 იანვარს.

გიმნაზია დაამთავრა 1879 წელში ქუთაისში და გააგრძელა სწავლა ოდესის უნივერსიტეტში ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე. 1884 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და 1885 წლის იანვარში დაინიშნა შტატ გარეშე მასწავლებლად ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ამავე წლის სექტემბერში სპირიდონი მიიწვია მათემატიკის მასწავლებლად ქუთაისის სათავად-აზნაურო პროგიმნაზიის გამგემ ჰიპინაძემ. 1886 წლიდან, როდესაც ჰიპინაძე თბილისში გადაიყვანეს, სპირიდონი სკოლის სამზრუნველო კომიტეტმა აირჩია ამავე პროგიმნაზიის გამგის თანამდებობის დრ. აღმასრულებლათ. შემდეგ დანიშნულ იქნა შტატის მასწავლებლად წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში, სადაც 1905 წელში დაინიშნა ინსპექტორის თანამდებობის დრ. აღმასრულებლათ. აქედან კი 1906 წ. გადავიდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შტატის მასწავლებლად 1918 წ. ფოთის საზოგადოებ[illegible] გიმნაზიის დირექტორათ, რაზედაც სპირიდონმა [illegible] საზოგადოებას და დარჩა ისევ ქუთაისში. ამავე წელში სამინისტრომ იგი დანიშნა თბილისის მეორე გიმნაზიის დირექტორათ, ხოლო ამ გიმნაზიის დახურვის შემდეგ 1919 წ. დაინიშნა ქუთაისის ქალთა პირველი გიმნაზიის დირექტორათ, რომელ თანამდებობიდან, თანახმად მისი თხოვნისა განთავისუფლებულ იქნა ავადმყოფობის გამო 1921 წ. და შემდეგ გადმოყვანილ იქნა შტატის მასწავლებლად ისევ ყოფ. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში, სადაც დღესაც განაგრძობს ნაყოფიერად მუშაობას. სპირიდონი ითვლებოდა აგრეთვე სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარედ.

გარდა ზემოხსენებულ სხვადასხვა თანამდებობაზე სამსახურისა, მან დაარსა ქუთაისში 1889 წ. კერძო მოსამზადებელი სარეპეტიციო კლასები პანსიონით; ორი წლის შემდეგ გახსნა კერძო პროგიმნაზია.

1901—2 წ.წ. მან თავისი ხარჯით დაუარსა ნოჯიხევის საზოგადოებას ორკლასიანი ქალთა სასწავლებელი, საიდანაც კურსდამთავრებულთ ეძლეოდათ სოფლის ერთკლასიანი სკოლის მასწავლებლის წოდება. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დამთავრების დროს სპირიდონმა დასწერა შრომა სათაურით „რთულ ფარგალთა კინემატიური თაორია", რომელიც დაჯილდოებულ იქნა უნივერსიტეტის მთავრობის მიერ მედალით. ქუთაისში კი გასული წლის განმავლობაში განათლების მუშაკთა სახლში წაიკითხა ლექციები შემდეგ თემაზე: 1. არითმეტიკული ამოცანის მეთოდიურათ გადაწყვეტის კონსპექტი, 2. ამოცანათა განზოგადოებული გადაწყვეტა შეთანასწორების საშუალებით, 3. ანალიტიური გეომეტრიის არსებითი მხარე, 4. ანალიტიური გეომეტრიის პირველი საფეხური და 5 სწორხაზის შეთანასწორების განზოგადოება.

ამნაირი ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის ქუთაისის სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმი და იქვე არსებული მეორე შვიდწლედების პედაგოგიური საბჭო ქუთაისში უმართავს ამ დამსახურებულ პედაგოგს 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილე დღესასწაულს ამა წლის ივნისის 6 ქუთაისის სახელმწიფო თეატრში. ხსენებული სასწავლებლის პედ. საბჭო და საიუბილეო კომიტეტი იმედოვნებს, რომ საზოგადოება ჩვენი მხცოვანი პედაგოგისა და საზ. მოღვაწის დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს.

საიუბილეო კომიტეტი.

განათლების ფრონტზე

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

ს. განათლების კომისარიატს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში დაეთმო 21 ადგილი. მსურველ სტუდენტებმა განცხადება უნდა შემოიტანონ 25 ივნისამდე პროფტეხნიკურ განათლების მთავარ გამგეობაში, აღნიშვნით,—თუ რომელ უნივერსიტეტში და რომელ ფაკულტეტზე სურს შესვლა.

არდადეგები საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში.

პროფტეხნიკურ განათლების მთავარ მმართველობამ აცნობა არსებულ ყველა საქარხნო-საფაბრიკო სკოლებს, რომ მეცადინეობა თეორეტიულ საგნებში უნდა შეწყდეს 20 ივნისისათვის. ამ ვადამდე შეფასებული და გამორკვეული უნდა იქნას მოწაფეთა წლიური მუშაობა და წარმატება. ჩამორჩენილი და საზოგადოთ სუსტი მოწაფე მოხსნილი უნდა იქნას სკოლიდან, ხოლო ნახევრად სუსტი მოწაფეები ვალდებულნი არიან შემოდგომაზე ჩააბარონ გამოცდები შემდეგ კლასში გადასასვლელად. ასეთი შეღავათი არ მიეცემა უფროსი კლასის მოწაფეებს.

ნარევი

ფორდი ყიდულობს ამერიკის სავაჭრო ფლოტს.

ხმები, რომ ავტომობილების უდიდესი საავტომობილო ქარხნების პატრონი გენრი ფორდი ყიდულობს ამერიკის სავაჭრო ფლოტს, გამართლდა. ეს ფლოტი, რომელიც უმთავრესად ომის დროს ტყვედ წაყვანილ გერმანელ გემებისაგან შესდგება, უმოქმედოთ სდგას ამერიკის ნავთსადგურებში და რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთ ზარალს იძლევა. გემების რიცხვი 400-დი აღწევს.

ეგვიპტურ ხელთნაწერების აღმოჩენა

მილანის უნივერსიტეტის პროფესორმა ბენერეტმა, რომელიც გამოკვლევებს ახდენდა ეგვიპტეში, ერთ-ერთ სამარხში აღმოაჩინა (ასუანში) მილიონი, მეტად ძვირფასი ხელთნაწერი.

ქალაქი მიწის ქვეშ

სახარას უდაბნოში იმყოფება მიწის ქვეშა ქალაქი, რომელსაც ეწოდება ასსაბატ. ეს ქალაქი რამდენიმე ასი წელიწადია, რაც არსებობს. მდებარეობს ის სახარის იმ ნაწილში, რომელიც იტალიის ტრიპოლის ტერიტორიას ეკუთვნის, ერთი შვეიცარიელი მოგზაურის აღწერით (მან ამ რამდენიმე ხნის წინათ ინახულა ის) ქალაქი იმყოფება სამასი მეტრის სიღრმეზე მიწაში, მცხოვრებთა ბინები გამოთხრილია მიწაში მიწის ქვეშა გზის ორივე მხარეს. ქალაქი იფარავს მცხოვრებთა უდაბნოს საშინელი სიცხისგან. ქალაქში მრავლათ მოიპოვება სასმელი წმინდა წყალი. განათებულია ის ჭრაქებით

ფეხით მოგზაურობა 5 წლის განმავლობაში.

მოკლე ხანში პარიზში ბრუნდება ჟან ტერრა, მოგზაური, რომელიც 1920 წელს ფეხით წავიდა პარიზიდან დედამიწის გარშემო შემოსასვლელად. მან მოიარა ყველა ქვეყნები და ამ ხნის განმავლობაში გაიარა 12.500 კილომეტრი.

მუშათა ცხოვრება

მდგომარეობა ქალაქის აბანოებში

ქალაქის კომუნალურ განყოფილების აბანოებში ამჟამად რევიზიის ჩატარებამ და მის ყოველ მხრივ დათვალიერებამ ღრმად დამარწმუნა იმაში, რომ ქალაქის ყველა მომქმედ აბანოების მდგომარეობა ყოველმხრივ მკვიდრ ნიადაგზე არის დაყენებული. 16 აბანოთა შორის ამჟამად მუშაობს თერთმეტი და ორიც იჯარით არის გაცემული კერძო მოიჯარადრეებზე. კომუნ. განყ-ის კუთვნილ თერთმეტ აბანოში ირიცხება 144 თანამშრომელი, რომლებიც თავიანთ მოვალეობაზედ საუკეთესო შერჩეულნი არიან და ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად.

აბანოების ფინანსიური ოპერაციები კარგ ნიადაგზედ არის დაყენებული. ყოველდღიური შემოსავალი გროვდება საღამოს უფროს მოლარის ხელში, რომელიც მეორე დღესვე სათანადო ცნობის ფურცლით გზავნის აღმასკომის სალაროში.

სანიტარული მდგომარეობა აბანოებში ყველგან დაცულია, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ აბანო № 5 მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, რაზედაც კომ. განყ. თავის დროზედ უნდა მიიღოს შესაფერი ზომები.

მცირე შეკეთებას მოითხოვს აგრეთვე აბანო № 14, რომელიც მუშათა უბანში იმყოფება. სანიმუშო სანახაობას წარმოადგენს ახლად დამთავრებული აბანო „გოგილოს" რომელიც წინედ ხევის მაგიერ დღეს საუკეთესო სამკურნალო ადგილად გადაქცეულა. მადლობის ღირსია აბანოების გამგე იუსუფოვი, რომლის ენერგიული მუშაობით აბანოების საქმე საერთოდ მკვიდრ ნიადაგზე არის დაყენებული.

პ. ნ. ჩხიკვაძე.

საღამოების ბილეთებს ხელზე ნუ ატარებთ

(მილიციის საყურადღებოდ)

მიუხედავად იმისა, რომ ბილეთების ხელზე გაყიდვა აკრძალულია, ასეთებს მაინც დაატარებენ. აგზავნიან, დადიან ოჯახებში, დაწესებულებებში და გინდა თუ არა მაინც უნდა იყიდო. თუ არ იყიდი, ვინ იცის, როგორი თვალით დაგიწყებენ ყურებას. რას არ დაგწამებენ. იძულებული ხარ, თუ არა გაქვს, ისესხო ფული და იყიდო. ამ მოვლენამ უკანასკნელ ხანებში მასიური ხასიათი მიიღო.

საჭიროა ყურადღება მიექცეს მას, ხელახლავ აიკრძალოს ის.

ყარაული.

აი ვინ უწყობს მახეს მოწაფეებს!

(მთავარი მილიციის საყურადღებოდ)

ამდენხანს არავის მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ეხლა მაინც მიიღეთ ზომები ამის წინააღმდეგ. ებრაელების პატარა ვაჟებს გაუკეთებიათ „ლატარეა", რომელიც შესდგება უსარგებლო ნივთებისაგან. ეს პაწია სპეკულიანტები მოწაფეებს ატყუილებენ. მშობლების მიცემულ გროშებს მოწაფეები ამ ლატარეიაში აგებენ. ეს სპეკულიანტები მუდამ ჟამს პირველ დაწყებითი სკოლების ირგვლივ ტრიალებენ.

მიიღეთ ზომები, მოაშორეთ მოწაფეებს ეს მელატარიე ბიჭები.

მუშკორი ვ. სალუქვაძე.

გამოგზავნილი წერილებიდან.

გვიხსენით გადამდებ სენიდან.

(რკ. გზ. საავადმყ. ადგილკომის საყურადღებოდ).

სახალხო სადგურიდან სანიტრებს უხდებათ ავადმყოფების მიყვანა რკ. გზ. საავადმყოფოში. გადამდებ სენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყოველ ავადმყოფის მიყვანის შემდეგ დეზინფექციის მოხდენა რაც ამჟამად არ ხდება. ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეთ.

მუშკორი მ. დანდუროვი.

ეს ვაჟბატონები ალაგმეთ

(მე-10-ე სამილ. რაიონის უფროსის საყურადღებოდ).

ელისაბედის ქუჩაზე „დეზერტირკა"-ს მოედანზე საღამოობით იკრიბებიან ფეხსაცმელის მწმენდავნი და ხილის გამყიდველნი და ფულით „არიოლობა"-ს თამაშობენ, რასაც ლანძღვა-გინება, ცემა-ტყეპა და ჩხუბი მოსდევს.

საჭიროა ეს ვაჟბატონები აქედან აილაგონ.

მუშკორი ი. კ.

დაგვიხსენით ასეთ სახლის პატრონისაგან.

(მე-8 სამილიციო რაიონის საყურადღებოდ).

არხიპოვის ჩიხში № 5 სახლის პატრონის ქალი რაიბულოვა-კვიკვიძისა, რომელიც მშობლებს არაფრად აგდებს და თვითონ მიისაკუთრა სახლი, თავის ლანძღვა-გინებით მდგმურებს მოსვენებას არ აძლევს, რათა ისინი იძულებულ ჰყოს ბინის დაცლაზე.

ალაგმეთ ეს ქალბატონი.

მუშკორი კ. ბაი—შვილი.

პროვინციაში

გვიხსენით შოფერების თავგასულობისაგან და მოაწესრიგეთ საფოსტო კავშირი

(ფ-ტ. ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველოს საყურადღებოდ)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ზუგდიდ-სენაკ შუა ა. კ. რ. გ. მოეწყო საავტომობილო მიმოსვლა. ამ გარემოებამ პირველ ხანებში საზღვარი დაუდო მედილიჟანეთა და მეეტლეთა უსაზღვრო მადას.

მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ავტომობილების შოფერები დასნეულდნენ „მაენე სენით“. სრულიად არ აქცევენ ყურადღებას „ტაქსა“-ს და ვაჭრობენ ისე, როგორც კერძო ვაჭარი. თუ კი მუშტრები ბევრია, მაშინ ბილეთები მეტი ღირს რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო ნაკლები. ასეთ შემთხვევებში ვაჭარ-სპეკულიანტები უფრო მოგებული რჩებიან, ვიდრე გლეხობა.

მედილიჟენები თანდათანობით აწყობენ ისევ დილიჟენებს, ვინაიდან ავტომობილით მგზავრობა ორჯერ მეტი ღირს, ვიდრე დილიჟანით.

ეხლა გადავიდეთ თუ რა სარგებლობას აძლევს ფოსტის უწყებას ა. კ. რ. გ. სამართველო, რომელსაც აღებული აქვს ფოსტის გადატანა ზუგდიდ-სენაკ შუა.

შოფერებს ფოსტის გადატანის საქმე მეორეხარისხოვან საკითხად მიაჩნიათ, ვინაიდან უფრო მეტ სარგებლობას ხედავენ კერძო სპეკულიანტებიდან და ფოსტის გადატანას უყურადღებოდ სტოვებენ. არის შემთხვევა, რომ სენაკიდან გამოგზავნილი „ტომარა“, რომელიც გასაგზავნია ხეთაში, შოფერების დაუდევრობის გამო იგზავნება ზუგდიდში და შემდეგ მესამე ან მეოთხე დღეს აბრუნებენ უკან. წარმოსადგენია, თუ როგორ მდგომარეობაში იქნება ჟურნალ-გაზეთების გადაგზავნის საქმე. ხანდახან აქეთ გამოგზავნილი ტომარას დასტოვებს შოფერი და იქით კი არ მიაქვს, რაც აბრკოლებს კორესპონდენციების დროზე გადაგზავნის საქმეს.

ა. წ. 30 მაისს ჰქონდა ასეთ შემთხვევას ადგილი: სენაკიდან ხეთაში გამოგზავნილი „ტომარა“ № 2, რომელიც ავტომობილს ხეთაში უნდა დაეტოვებია, შოფერს დაჰკარგვია სენაკ-ხობის შუა. საჭიროა მიექცეს ამას ყურადღება.

ა. ივლიანიშვილი.

დ. ლაგოდეხი

(სიღნაღის მაზრა)

ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთში წავიკითხე „ლადოს“ წერილი, რომელშიც ლაპარაკია ამ რაიონის სიმდიდრეზე და იმის შესახებ, თუ როგორ ზიანს აყენებს რაიონს გზების უქონლობა. ამ რაიონს რომ ჰქონდეს ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, მაინც ამოდენა სიმდიდრე ისე არ დაილუპებოდა როგორც ეხლა ილუპება, რადგან გამოტანა მისი შეუძლებელია. ტყეში რომ კაცი შევიდეს, ტირილი მოუვა, როდესაც დაინახავს უზარ-მაზარ ხეებს— „ბოყვს“, „წიფელს“, „მუხას“ და სხვა წაქცეულს და ცეცხლწაკიდებულს. შპალების დაჭრის დროს ანათალს და ხის ტოტები იქვე ლპება.

ლაგოდეხიდან 8 ვერსის მანძილზე მთებში არის გოგირდის წყარო. იყო შემთხვევები, როცა ავადმყოფი საკაცით ამოუტანიათ აქ, უბანავებია ერთი-ორი თვე და შემდეგ „თავისი ფეხით დაბრუნებულა“ უკან. ეს გოგირდის წყარო მთიდან ჩამოდიოდა და ჩადიოდა იმ წყაროში, რომელსაც სასმელად ხმარობს რამდენიმე სოფელი. ნაბანები წყალი კი უერთდებოდა სასმელ წყალს. ისეთი შემთხვევაც იყო, წყალს რომ ვსვამდით, პირდაპირ ეტყობოდა ხოლმე არაჩვეულებრივი გემო. ამაზედ ბევრი ლაპარაკი ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებლებს. უნდოდათ ან ბანაობის აკრძალვა ან ნაბანევი წყალის გადაყვანა, რომ ის არ შეერთებოდა სასმელ წყალს. შარშან 1924 წ. გლეხებმა შესჩივლეს გლეხკომს ამ საქმის შესახებ. გლეხკომმა იკისრა ეს საქმე. მან მოაშორა სასმელ წყაროს წუმპე და გადიყვანა ისეთ ალაგას, რომ წყაროს ალარც-კი მოჰხვდება, გაუკეთა საბანაო აუზები, გააკეთა მშვენიერი სახლები, სადაც შეუძლია ავადმყოფს ვანების მიღების შემდეგ დაისვენოს და იქვე გაათიოს ღამე. გაიხსნება წითელი სასადილო, რომ ავადმყოფს არ მოუხდეს 8 ვერსზე სირბილი სანოვაგის საყიდლად და არ დარჩეს ცისქვეშ როგორც დღემდის იყო.

ახლო მომავალში გლეხკომი აპირებს გლეხის სახლის გაკეთებას დ. ლაგოდეხში.

გ—ო.

ქალთა წრის დაარსება

დილიკაურის თემი (შორაპნის მაზრა)

ამას წინეთ ამ თემში მოხდა ქალთა კრება. უკანასკნელის მიზანი იყო, რომ თემში დაარსებულიყო ქალთა წრე. კრებას დაესწრო ქალების დიდი უმრავლესობა. კრება გახსნა თამარა სილაძისამ—უკანასკნელმა კრებას მოკლეთ განუმარტა ქალთა წრის დაარსების მნიშვნელობა და უსურვა, რომ მათი პირველი ნაბიჯი ყოფილიყოს ნაყოფიერი და სასარგებლო მშრომელი ქალებისათვის.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ქეთო ჩუბინიძისამ. მოხსენების დასასრულ არჩეულ იქნა ქალთა წრის ხელმძღვანელი და გამგეობა. უკანასკნელთ აკისრებს კრება, რომ ხშირ-ხშირათ იმართებოდეს კრებები და იკითხებოდეს ლექციები სხვადასხვა თემებზე. დასასრულ კრება ერთხმად ავალებს ქალთა წრის გამგეობას, რომ მათი ინიციატივით განახლდეს დრამატიული დასის მუშაობა, რაშიაც ჩაბმულ იქნეს ყველა მუშა-ქალები.

ამბროსი სალაძე.

პროვინციის ქრონიკა

— **აფხაზეთის** მიწათმოქმედების კომისარიატი ამ ჟამად მთელ აფხაზეთში იკვლევს, თუ გლეხს რა სამეურნეო იარაღი აკლია.

— **საჩვენებელი ბაგა.** ბათომში ფერმა „თამარა“-სთან მოწყობილი იქნა მეორე სამრეწველო-საჩვენებელი ბაგა 50 სული საქონლით.

— თელავში უმ. ეკ. საბჭოს აბრეშუმის სახვევ ქარხანასთან იხსნება აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, სადაც იმუშავებს 300 მუშა.

— **თხის ჭირი.** ყვარელში გაჩნდა თხის ჭირი, რომელიც მუსრს ავლებს თხების ჯოგს.

— **ნაფარეულში და არტამაში** (თელავის მაზრა) გაჩნდა ღორის ჭირი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება 21

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

ამ ღონისძიებათა შესახებ, რომლითაც განხორციელებულ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 22-ს დადგენილება—ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის თაობაზე 1924 წ. აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების სამოქმედოთ შემოღებისათვის.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახ. კომ. საბჭოს მიერ 1924 წლის სექტემბრის 22-ს თარიღით საბინაო კოოპერაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების განსავითარებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას, რომელიც მოეწყობა ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 22-ს დადგენილებით გათვალისწინებულ წესისამებრ, უპირატესი უფლება აქვს, სხვა მსურველებთან შედარებით, თანასწორ პირობებში, მუნიციპალიზაციაქმნილ შენობათა დაქირავებისათვის.

2. მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას უპირატესი უფლება აქვს, სხვა მსურველებთან შედარებით, თანასწორ პირობებში, ქალაქად აღნაგობისა და აგრეთვე ქალაქ გარეთ მიწის ნაკვეთების იჯარით აღებისათვის.

3. იმ საცხოვრებელი სივრცის ნორმები, რომელიც უნდა მიეცეს საერთო სამოქალაქო და მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა წევრებს, განისაზღვრება სამაზრო და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტების განსაკუთრებული დადგენილებით; თანაც საცხოვრებელი სივრცის საერთო სანიტარული ნორმა, რაც შემოღებულია ამა თუ იმ ადგილას, სათანადო შემთხვევაში შეიძლება გადიდებულ იქნეს.

4. წესდებით განსაზღვრული დამატებითი პასუხისმგებლობა საერთო სამოქალაქო საბინაო-სამშენებლო ამხანაგობის წევრთათვის არ უნდა აღემატებოდეს 5 პაის რაოდენობას.

5. ყოველი სახის საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის წესდებას რეგისტრაცია გაუკეთდება საბინაო კოოპერაციის კავშირში ამხანაგობის სამყოფელი ადგილის მიხედვით, ხოლო იქ, სადაც ასეთი კავშირი არ არსებობს, ამხანაგობას რეგისტრაცია გაუკეთდება ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებაში (კომუნალურში).

6. ყოველი სახის საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობა თავისუფალია კომუნალურ ფონდში საცხოვრებელი სივრცის განსაზღვრული ნაწილის—ნატურად ჩარიცხვისაგან, სადაც ეს შემოღებულია.

7. ყოველი სახის საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის ნორმალური წესდება გამოიცემა საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

8. საბინაო-საიჯარო და საერთო-სამოქალაქო საბინაო სამშენებლო ამხანაგობათათვის გამოცემულ ნორმალურ წესდებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს აღმასრულებელი კომიტეტების უფლება კონტროლის გაწევისა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იმ ვალდებულების შესრულებისათვის, რაც გათვალისწინებულ იქნება მათ მიერ ადგილობრივ მეურნეობის (კომუნალურ) განყოფილებასთან დადებულ ხელშეკრულებაში და აგრეთვე საბინაო-საიჯარო კოოპერატივთა მიერ საცხოვრებელ სივრცის სისწორით გამოყენებისათვის.

9. ყოველი სახის საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობა, რომელთა წესდებაც არ შეეფერება ამა დადგენილების მე-7 მუხლის საფუძველზე გამოცემულ ნორმალურ წესდებას, უფლება აქვს გადავიდეს ახალ წესდებაზე წევრთა საერთო კრების დადგენილებით. ახალ წესდებაზე გადასვლის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს, ამიერ-კავკასიის ცენ. აღმ. კ-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის თაობაზე 1924 წ. სექტემბრის 22-ს გამოცემული დადგენილებით გათვალისწინებულ წესისამებრ, განცხადება აღმასრულებელ კომიტეტში და აგრეთვე უნდა ეცნობოს საბინაო კოოპერაციის კავშირს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. სალარიძე.

1925 წელი, ივნისის 2

თბილისი-სასახლე

დადგენილება № 17

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა—მიწის კოდექსის 19, 67, 96 და 161 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის მე-19, 67, 96 და 161 მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-19 მუხლის შენიშვნა, სადაც ნათქვამია: „განსაკუთრებულ შემთხვევებში მაზრის საადგილ-მამულო ორგანოებს უფლება ეძლევათ არ მისცენ მიწის არჩევის ნება ამა თუ იმ პირს“,—გაუქმებულ იქნეს.

2. 67 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად: დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა: ა) ფიზიკური შრომის მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებითი შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოში და დაწესებულებაში, ბ) სოფლის მასწავლებლებს, გ) მაზრისა და რაიონის აღმასრულებელი კომიტეტების და სასოფლო საბჭოების თანამშრომელთ და დ) აგრონომებს და ვეტერინარებს, როცა მათ (ამ მუხლში მოხსენებულთ) კავშირი არა აქვთ გაწყვეტილი თავიანთ საოჯახო მეურნეობასთან, და როცა ამა მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებში მოხსენებული მოსამსახურენი იმ მაზრაში, სადაც აქვთ საკუთარი მეურნეობა.

3. 96 მუხლის მესამე შენიშვნა, სადაც ნათქვამია: „ქალაქის საბჭოებს და აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ ეს ნორმა განსაკუთრებულ შემთხვევაში გაადიდონ, შეამცირონ ან სრულიად გააუქმონ“—გაუქმებულ იქნეს.

4. 161 მუხლის შენიშვნის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად: „საქმე კოლეგიაში და საბჭოში გაირჩევა მხარეთა დაბარებით და მოსმენით, თუ კი ისინი გამოცხადდებიან“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფილ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წ. აპრილის 15.

თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა მორიგ **ერთიან პარტიულ დღეს**

პარასკევს, 12 ივნისს,

უჯრედების დღის წესრიგში დასმული იქნეს შემდეგი საკითხები:

1) დამუშავება მე-14 პარტიული კონფერენციის რეზოლიუციისა პარტიული მშენებლობის შესახებ.

2) ადგილობრივი საკითხები.

უჯრედების კომისიებს წინადადება ეძლევათ წინასწარ დაამუშაონ რეზოლიუციის სათანადო მუხლები თავის სხდომებზე.

თბილისის კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**

— ხუთშაბათს, 4 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცკას ბინაზე მოწვეულია თათბირი **„რევოლიუციონური კანონიერების“** საკითხის შესახებ, რომელზედაც მოწვეულნი არიან ამხ. მათიკაშვილი, ვარძიელი, ნ. ოკუჯავა და კომუნისტები: აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი, მისი თანაშემწეები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრები, აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს წევრები, რომლებიც თბილისში იმყოფებიან და სხვა პასუხისმგებელი ამხანაგები.

ზემოაღნიშნულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. ცკას საორგანიზაციო განყოფ. მდივანი **ულენტი.**

— კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ პარასკევს, 5 ივნის, საღამოს სრულ 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის პლენუმი.

დასწრება რაიკომის ყველა წევრებისათვის აუცილებელია დაუგვიანებლად.

— ს. კ. პ. ცკას სააღრ. გამნაწ. განყოფილება გაუქმებულად აცხადებს დაკარგულ პარტბილეთს № 494060, გაცემულს ამხ. გრიგოლ მიხეილის ძე მგალობლიშვილის სახელზე.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომში შეტანილია ქვემორამოთვლილ ამხანაგების განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ.

იმ ამხანაგებს და პირებს, რომლებსაც აქვთ მამხილებელი საბუთები, ვსთხოვთ წარმოადგინონ ასეთები მე-3 რაიკომში (კახეთის ქ. № 1) ერთი კვირის განმავლობაში.

1. ტყავის ტრესტის უჯრედი—ასლამაზოვი სერგო, ოთარაშვილი ბარბალე, 2. მაკარონის ფაბრიკის უჯრედი—ხუმაროვი ალექსანდრე, 3. პირველი საბჭოთა საქალაქო საავადმყოფოს უჯრედი—მელიქიანი აიკანუშ, 4. სად. გარდაბანის უჯრედი—სადაგაშვილი სოლომონ, კვინიაშვილი სიმონ, მეხტიევი მახმუდ, 5. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უჯრედი—რატიანი პარმენ, 6. მეტყევეთა უჯრედი—ასატუროვი ერვანდ, სრაბიანი ხაჩატურ, 7. მტვირთველთა უჯრედი—ჯანგოევი ხანდო, ნესესიანი მოვსეს, სარქისოვი ნახაპეტ, არამოვი ტაერ, მოსესოვი ასატურ, შეკოიანი აკოპ, ანტონიანი ვართან, მირზოევი გრიგოლ, გრიგორიანი ენოკ.

მდივანი **ვართაპეტიანი**

განცხადებები

ს. კ. პ. ბორჯომის კომიტეტი, ადგილობრივი პარტამხანაგები და პარტიის კანდიდატები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სამშაბათს, 2 ივნისს, გარდაიცვალა ძველი რევოლიუციონერი, პარტიის წევრი

ნიკოლოზ გულასტოს ძე ვეფხვაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული,

ნის. № 1265—1—1

ა/წ. 1-ლ ივნისს ქ. ახალსენაკში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახმედვაჭრობის ახალსენაკის საბჭოთა აფთიაქის გამგე, ძველი, ენერგიული მუშაკი

ამხ. ვალერიან ვასილის ძე ძიუბენკო

რასაც „სახმედვაჭრობა“ მწუხარებით აცნობებს თავის თანამშრომლებს. დაკრძალვა მოხდება დღეს, 4 ივნისს, ქ. ახალსენაკში.

№ 1537—1—1

ამით ვაუწყებთ ყველა ამხანაგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 2 ივნისს გარდაიცვალა ჩვენთვის დაუვიწყარი და ძვირფასი ამხანაგი პროვიზორი

ვალერიანი ვასილის ძე ძიუბენკო

განსვენების და დასაფლავების დღე დანიშნულია 4 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე. ახალსენაკის პირველ საბჭოთა აფთიაქის თანამშრომლები.

№ 1534—1—1

ღრმად დამწუხრებული შვილები: სილიბისტრო სულაძე, ოლღა სხირტლაძისა და ალათი კირვალიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1-ლ ივნისს გარდაიცვალა მამა

თომა გრიგოლის ძე სულაძე

გასვენება მოხდება პარასკევს, 5 ივნისს ნაშუადღევის ოთხ საათზე ბინიდან—ნაკადის ქუჩა, სახლი № 6 (ფუნიკულიორის ქვეშ)

№ 1533—1—1

განათლების მუშაკთა კლუბი
პლეხანოვის პრ. 65.

ხუთშაბათს, 6 ივნისს
იხსნება წარმოდგენა-კონცერტი
გუნდი გ. მ. კ.
ორკესტრი
ბუფეტი

პარასკევს, 5 ივლისს
კინო
საინტერესო პროგრამა

შაბათს, 6 ივნისს
წარმოდგენა
სურამის ციხე
ქართულ ენაზე

ხვალ ბავშვთა საღამო საღამოს 9 საათიდან სიცილის საღამო

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო აცხადებს,

რომ თანახმად საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის ბრძანებისა № 7142, 1 ივნისიდან სადგურებზე უქმდება მესამე ზარის მიცემა სამგზავრო მატარებლების გასვლისათვის.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცდენად მგზავრებმა უნდა დაიკავონ ადგილები დაუყოვნებლივ მეორე ზარის მიცემის შემდეგ.

4-4 ნ. 1250

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფ. [illegible]

გაზ. „კომუნისტი“

ხელისმომწერთა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი:

1. კოლექტიურ ხელისმომწერთა სიაში სახელი, გვარი და მისამართი ხელისმომწერისა აუცილებლივ **გარკვევით და სწორად უნდა იყოს აღნიშნული.**

2. ყოველგვარი ცნობების მისაღებად (გაზეთის მიუღებლობა, დაგვიანება და სხვა) უთუოდ მთავარ კანტორას უნდა წარუდგინოს **ქვითარი ან ეცნობოს ამ უკანასკნელის №.**

კოლექტიურ ხელისმომწერთა სიები აუცილებლივ წარმოედგინოს მთავარ კანტორას **თავის დროზე** (ყოველთვის 25—29 რიცხვამდე) ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ შემოწმებული.

4. გაზეთების გამოწერის დროს აუცილებლივ **გადახდილი უნდა იქნას წასული თვის ვალი მთლიანად.**

5. კონტრ-აგენტებისა და პროვინციის ხელისმომწერთა მიერ გაზეთების დაკვეთა უნდა ხდებოდეს თვის დამლევამდე, აუცილებლივ მთავარ კანტორის ხვედრი ფულის გადმოგზავნით.

6. გაზეთის მიუღებლობის შესახებ უნდა ეცნობოს მთავარ კანტორას დაუყოვნებლივ და არა თვის ბოლოს, რასაც ხშირად აქვს ადგილი.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

საშემოსავლო გადასახადი

ა/კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში

აცხადებს

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოდ, რომ 1924/25 საბიუჯეტო წლის მე-2-ე ნახევარში აღნიშნულ გადასახადის ძირითადი განაკვეთების გამოანგარიშება მთავრდება ა/წ. 1-ლ ივნისისათვის.

დაწესებულებათა, წარმოებათა და მეურნეობათა მიერ მუშების, მოსამსახურეების და პენსიონერებისაგან გამოანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის ძირითადი განაკვეთები უნდა დაკავებულ იქნეს ნახევარ წლის განმავლობაში თანასწორ ნაწილებად, ჯამაგირიდან, პენსიიდან და სამუშაო ხელფასიდან ყოველთვიურად დაწყებული მიმდინარე წლის ივლისიდან.

დანარჩენი მოქალაქენი იხდიან საშემოსავლო გადასახადის ძირითად განაკვეთებს ერთდროულად არა უგვიანეს ა/წ. 1-ლ ივლისისა.

მოქალაქეებმა, რომელთაც თავის დროზე არ ჩაბარდათ გადასახადის ფურცლები, უნდა მიმართონ ფინანსთა ინსპექტორის კანცელარიაში მათზე შეწერილი გადასახადის რაოდენობის გამოსარკვევად.

ა/კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის
მოადგილე **ფანცხავა**

გადასახადთა განყოფილების მმართველის
მაგიერ **ბეზირგანიშვილი.**

ნ. 1263. 1—1

კინო თეატრებში
„ეთერი“, „არფასტო“ და „სოლეი“
ხუთშაბათიდან, 4 ივნისიდან
სეზონის საუკეთესო სურათი
კინ
მოზჟუხინის, ლისენკოს და კოლინას მონაწილეობით.
სეანსების დასაწყისი: სოლეი 7 ს. 15 წ. საღამოს
არფასტო 7 ს. 45 წ. „
ეთერი 8 ს. 15 წ. „
ხს. № 1261—2—2

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა

აცხადებს

რომ სახელმწიფო ბანკის საოლქო კანტორა და ამიერ-კავკასიის სხვა ფილიალური განყოფილებები შეუდგენ სესხის გაცემას თანხის განუსაზღვრელათ ყველა დაწესებულებებზე და კერძო პირებზე

1924 წლის საგლეხო მომგებიანი სესხის
1922 წლის 1-ლი მომგებიანი სესხის
1925 წლის 5 პროც. მოკლევადიანი სესხის ობლიგაციების ქვეშ

ნ. 1264 1—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—5

ექიმი
მ. ა. ლუკოვსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—25

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა შალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
2746 25—8

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).
ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ.
ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.
ნ. 1346 25—14

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—8

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროსპ. №18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.
25—9

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
№ 3203. 25—8

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიანი
თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)
25—14

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულ.
სიფილისი (606—914)
მიღება { კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ.
ქალების 6—7 ს. საღ.
მოსკოვის ქ. № 4.
25—9 № 1432

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
სომხის ბაზარი № 8.
№ 202.
25—24

ექიმი
დ. ა. ბალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-იან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე. ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
284 25—8.

ექიმი
ბ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—15

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—14

არ არის უკეთესი
კეფირი, ვიდრე
ო. კორონასი
ლორის მელიქოვის ქ. № 6.
ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს ყველაზე საუკეთესო კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს. მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ ნ. 1106 25—23

სამი თვის წინედ მარტის პირველ რიცხვებში წავიდა სახლიდან 13 წლის ვაჟი სოფ. ნაკბეურის, გორის მაზრის, კავთისხევის საზ-ის მცხოვრები **ტარიელ ივანეს ძე გიგაური** ტანად მაღალი, ქერათმა, თვალები ღია ფერისა.

თუ ვინმემ იცოდეს სად იმყოფება ეს ყმაწვილი, მაცნობოს ტფილისში საბურთალო, მათე ბალახაძეს.

1—1 1526

დაკარგე ლილოს რაი-სამხ. სააღრ. მაგიდის გამგეს მიერ გაცემული პირადობის წიგნაკი № 615 შანია ერმინე ჯოჯისძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1538(ა)

დაკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი № 27, მოცემული ზუგდიდის სამაზრო დამზღვევი სალაროს მიერ, თეკლე კობახიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1 1538

დაკარგე ლილოს რაი-სამხ. სააღრ. მაგიდის მიერ გაცემული პირადი წიგნაკი მოქ. ხვიჩავა ფილიპე ცუკუს ძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1538

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 964, 1916 წელს ანტონ ბორჩხაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1536

დაკარგე სახალხო უნივერს. გამოტანილი მეტრიკული ალ. დიმიტრის ძე გინაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1540

დაკარგე დამზღვევი წიგნაკი გაცემული დამზღვევი სალაროდან № 479 ვანო კალატოზიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1537

დაკარგე სააღრიცხვო ბარათი თევდორე ივანეს ძე მღებრიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1539

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი მელიქ სარონიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1540

დაკარგე პირადობის მოწმობა საჯამიასხერის რაიონში აღებული და სარკინისგზო პირადობის მოწმობა სურათით ალფესი ბუტუას ძე თავაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1535

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი [illegible] ანტონის ას[illegible] [illegible]ლი ილიუხინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1539

ტირაჟი—21.550

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამ. წულუკიძის ქ. № 4